

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო  
ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი  
დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

ნათელა მაღლაკელიძე, ცისანა ყურაშვილი,  
ელენე მაღლაკელიძე

# ქართული ენა და ლიტერატურა

## მასწავლებლის ნიშნი

(მეთოდური მითითებანი  
საკვირაო სკოლების პედაგოგებისათვის)

გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2011

# ქართული ენა და ლიტერატურა

მასწავლებლის წიგნი (საკვირაო სკოლების პედაგოგებისათვის)



ავტორები: ნათელა მაღლაკელიძე (ჯგუფი ხელმძღვანელი),  
ცისანა ყურაშვილი, ელენე მაღლაკელიძე

რედაქტორი ნელი ელიზბარაშვილი

დიზაინერი დავით კუტუბიძე

ISBN 978-9941-10-415-2

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., 47. ☎ 2 39-15-22; 2 30-96-14; 2 14-77-11;  
599 541707 კახაბერ რუსიძე, 593 533527 ნათელა მაღლაკელიძე  
E-mail: davideku1@mail.ru, info@meridianpub.com

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011  
© ნ. მაღლაკელიძე

N. Maglakelidze, C. Kurashvili, E. Maglakelidze  
`Georgian language and literature~,  
`Meridiani~ Publishing, Tbilisi - 2011

?? school, in Georgian

## რეკომენდაციები მასწავლებლისათვის

წარმოდგენილი სასწავლო კომპლექტი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- ა) ქართული ენა და ლიტერატურა „დედაენა“ – I საფეხური (6-დან 8 წლამდე მოსწავლეებისათვის);
- ბ) ქართული ენა და ლიტერატურა – II საფეხური (8-დან 12 წლამდე მოსწავლეებისათვის)
- გ) მასწავლებლის წიგნი.

სასწავლო კომპლექტის შედგენისას ვეცადეთ გაგვეთვალისწინებინა ის გარემოება, რომ საზღვარგარეთ მდებარე ქართული საკვირაო სკოლების მსენელთა ასაკი და ენობრივი კომპეტენციები განსხვავებულია; განსხვავებულია ის ენობრივი გარემოცვა, რომელშიაც მათ უხდებათ ცხოვრება; პედაგოგთა კვალიფიკაცია, სწავლების ორგანიზაციის ფორმები... ყოველივე ეს, ბუნებრივია, ასახვას პოუვებს სასწავლო პროცესზე. ამ ტიპის სკოლებში მასწავლებელს მოუხდება უფრო მეტი შემოქმედებითი დამოუკიდებლობის გამოჩენა, თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება, ენის ფლობის სხვადასვა დონეებს შორის სწავლების ერთიანი სტრატეგიების მოძიება, რაც ძალზე რთულია. წარმოდგენილი სასწავლო კომპლექტის მიზანია, გაუადვილოს მასწავლებელს იმ შედეგების მიღწევა, რომელთაც საკვირაო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამა და საგნობრივი სტანდარტი ითვალისწინებს.

## 1 საფეხური

1 საფეხურის სახელმძღვანელო (დედაენა) შედგება სამი ნაწილისაგან: **ა) წინასაანბანო პერიოდი, ბ) საანბანო პერიოდი, გ) ანბანის შემდგომ საკითხავი მასალა.** იგი ეყრდნობა იმ პრინციპებს, რომელთაც ქართულ სინამდვილეში საფუძველი იაკობ გოგებაშვილმა ჩაუყარა და შემდგომაც წარმატებით გამოიყენებოდა ქართული წერა-კითხვის სწავლებისას. ეს პრინციპებია:

ა) წერა-კითხვის სწავლება ანალიზურ-სინთეზური მეთოდით,  
ბ) ანბანის სწავლების კითხვა-წერის ხერხი,  
გ) კითხვისა და წერის ერთდროული სწავლება,  
დ) ქართული ანბანის გრაფიკული თავისებურებების გათვალისწინება – ოთხხაზიან ბადეში წერა;

ე) საკითხავი მასალის შერჩევისა და დალაგების პრინციპი...

შევჩერდებით თითოეულ ამ პრინციპზე ცალ-ცალკე:

ა) ბგერითი ანალიზურ-სინთეზური მეთოდის არსი შემდეგია: წერა-კითხვის სწავლების პროცესში ერთდროულად ხდება როგორც ანალიზი – სიტყვის დაშლა მარცვლებად, მარცვლებისა – ასო-ბგერებად, ისე სინთეზი – ასო-ბგერებისაგან ჯერ მარცვლების, შემდეგ სიტყვების, ბოლოს კი წინადადებების შედგენა და წაკითხვა. ცნობილია, რომ ქართული ენა ძირითადად ფონეტიკური დანერვილობისაა. აქ იმდენი ბგერაა, რამდენიც ასოა, თითოეულ ასოს თითო ბგერა შეესატყვისება: სიტყვაში იმდენი ასო იწერება, რამდენიც ბგერაც ისმის მასში. უმრავლეს შემთხვევაში სიტყვის წარმოთქმა და წერა ერთმანეთს ემთხვევა. აქ არ არის რბილი და მაგარი თანხმოვნები, ნახევარხმოვნები, დიფთონგები, მახვილიანი და უმახვილო ხმოვნები... არ არის დაცილებული ერთმანეთისაგან წარმოთქმა და წერა, როგორც ეს სხვა ენებშია (*რუსული, ინგლისური, ფრანგული, გერმანული...*). გამოცდილებამ დაადასტურა, რომ, ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს მეთოდი (*ბგერითი ანალიზურ-სინთეზური*) ქართული ანბანის სწავლებისას უალტერნატივოა, განსხვავებით იმ ენებისაგან, სადაც წარმოთქმა და წერა დაცილებულია და ამიტომაც წერა-კითხვას განსხვავებული მეთოდით ასწავლიან.

ბ) ანბანის სწავლების კითხვა-წერის ხერხი – არსებობს ანალიზურ-სინთეზური მეთოდის ორი ხერხი: წერა-კითხვისა და კითხვა-წერისა. ქართული ანბანის სწავლებისას ვიყენებთ კითხვა-წერის ხერხს, რაც შემდეგს გულისხმობს – ახალ ასოს მოსწავლეები ჯერ კითხვით სწავლობენ, შემდეგ კი წერენ მას. ქართულში კითხვა უფრო ადვილია, ვიდრე წერა, რადგანაც აქ არ არის არსებითი განსხვავება ბეჭდურსა და ხელნაწერ ასოებს შორის, ყოველ ასოს ძირითადად ერთი ბგერა შეესატყვისება, რაც აადვილებს კითხვის პროცესს (*შდრ. რუსული, სადაც ერთი და იგივე ასო სხვადასხვა პოზიციაში სხვადასხვაგვარად იკითხება, ამიტომაც ახალ ასოს აქ ჯერ წერენ და შემდეგ კითხულობენ*);

გ) კითხვისა და წერის ერთდროული სწავლება – კითხვა-წერის ხერხი არამც და არამც არ გულისხმობს კითხვისა და წერის ერთმანეთისაგან დაშორებას (თუმცა ამის ცდები არის). კითხვა ხელს უწყობს წერას, წერა კი – კითხვას. როგორც იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, არ უნდა დაგვაინწყდეს, რომ „მასწავლებელმა კითხვასთან ერთად უნდა შეაერთოს წერაცა, რადგან ჩვენს მეთოდში (*ანალიზურ-სინთეზური – ნ.მ.*) წერა მაშველებელი ღონისძიებაა კითხვისათვის“. მართლაც, წერა-კითხვის სწავლების პროცესი ერთიანი, განუყოფელი პროცესია. ამ მეთოდით ერთსა და იმავე გაკვეთილზე ახალი ასო ჯერ კითხვით შეისწავლება, შემდეგ – წერით;

დ) ქართული ანბანის გრაფიკული თავისებურებების გათვალისწინება – ქართული ანბანი წერის სწავლების თვალსაზრისით რამდენადმე სპეციფიურია. მის თავისებურებას შეადგენს ასოთა სიმრგვალე და ვერტიკალობა. მხოლოდ ერთადერთი კუთხოვანი ასო გვაქვს (ხელნაწერი **ო**, რომელიც უფრო და უფრო იშვიათად გამოიყენება). არსებითი მომენტია ისიც, რომ ბექტური და ხელნაწერი ასოების დიდი უმრავლესობა იდენტურია – მათ შორის არ არის დიდი დაცილება. ეს ყველაფერი ამარტივებს ქართული ანბანის შესწავლას, მაგრამ გვაქვს სირთულეც – ეს არის ქართული ასოების მოხაზულობა. ამ თვალსაზრისით რომ ქართული ანბანი რუსულ ანბანს შევადაროთ, ვნახავთ, რომ რუსულში 32 ასოდან 26 (**а, г, е, и, о, к, ж, л, м, н, п, с, т, ы, ц, ш, щ, я...**) შუა ხაზზე იწერება, ორი ასო (**б, в**) იწერება ხაზზევით, სამი (**д, у, р,**) – ხაზქვევით, ერთი ასო კი (**ф**) – სამივე ხაზზე. ევროპულ ენებში 23 ასოდან შუა ხაზე იწერება 14, სამი – ხაზზევით, სამი – ხაზქვევით, ორი – ხაზზევით და ქვევით. როგორც ვხედავთ, აქ ასოების უმრავლესობა შუა ხაზზეა განთავსებული. ქართულში კი 33 ასოდან შუა ხაზზე იწერება მხოლოდ ოთხი (**ი, ა, თ, ო**), ხაზზევით – 13 (**ზ, მ, ნ, რ, ჩ, ბ, ს, ხ, შ, წ, ჰ, ძ, ჰ**), ხაზქვევით – 14 (**დ, ე, ვ, კ, ლ, უ, ტ, უ, ფ, ღ, ყ, ც, ჯ, ჟ**), ორი ასო (**ქ, ჭ**) – სამივე ხაზზე. სწორედ ამიტომ შეარჩია იაკობ გოგებაშვილმა ქართული ანბანისათვის ოთხხაზიანი ბადე (განსხვავებით სხვა ენებისაგან, სადაც ერთი ხაზი ხშირად საკმარისია ასოთა მოხაზულობის დასაუფლებლად). ჩვენი რეკომენდაცია ამ ეტაპზე მასწავლებლისათვის იქნება – ანბანის შესწავლის პროცესში გამოიყენოს ოთხხაზიანი ბადე, რაც გაუადვილებს მოსწავლეს საწერ სივრცეში ორიენტირებას (*ზემოთ, ქვემოთ, შუაში, მარჯვნივ, მარცხნივ*), ასევე ხელს შეუწყობს ასოთა ვერტიკალობის დაცვას, ასოთა და სიტყვათა შორის საჭირო შუალედების დატოვებას, ქართული ასოების ელემენტების (*რკალი, რგოლი, სწორი ხაზი, ალმაცერი ხაზი და მრუდი ხაზი...*) დაუფლებას. ქართული ანბანის შესწავლის შემდეგ მასწავლებელს შეუძლია საწერი ბადის შეცვლა.

საანბანო პერიოდში მოსწავლეს ერთ გაკვეთილზე მხოლოდ ერთ ასოს ვაცნობთ (გამონაკლისია პირველი გაკვეთილი, სადაც **ა** და **ი** ასოები ერთად ეცნობა). თითოეული ახლადშესწავლილი ასო-ბგერის შემდეგ სახელმძღვანელოში მოცემულია **მატარებელი**. მისი ვაგონები თანდათან ივსება შესწავლილი ასო-ბგერებით. ამას ერთგვარი სახალისო ელფერი შეაქვს სასწავლო პროცესში.

საანბანო პერიოდში კალიგრაფიული ჩვევების გამომუშავებასა და ქართული ასოების მოხაზულობის დაუფლებას ემსახურება „რვეული“, რომელიც I საფეხურის სახელმძღვანელოს შემადგენელი ნაწილია.

ანბანის შემდგომი პერიოდისათვის წარმოდგენილი გვაქვს ქართული საყმანვილო ლიტერატურის ნიმუშები, სადაც დიდი ადგილი უჭირავს ი. გოგებაშვილის მოთხრობებს რუბრიკით „ბრძენკაცის დარიგება“. ვეცადეთ, რომ საკითხავი მასალა თემატურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანი ყოფილიყო – ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, შემეცნებითი ხასიათის ტექსტები... შევარჩიეთ სამი ძირითადი პრინციპის – **დიდაქტიკური, ასაკობრივი და ესთეტიკური** – მიხედვით. თითოეულ ტექსტს ახლავს **სიტყვის სალარო**, სადაც ახსნილია ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც მოსწავლეთათვის შეიძლება გაუგებარი იყოს. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ იმ გარემოებას, რომ მეთოდოლოგურ აპარატში, რომლებიც ამ საკითხავ მასალას ახლავს, ხშირად ცალკეა გამოყოფილი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური სავარჯიშოები, რომლებიც ტექსტში საჭირო სიტყვის ან ფრაზის მოძიებასა და სათანადო ადგილას ჩასმას ისახავს მიზნად. ამ სავარჯიშოების მიზანია, მოსწავლემ შეძლოს ახლადშესწავლილი ლექსიკური ერთეულის მეტყველებაში პრაქტიკულად გამოყენება.



ტექსტების ბოლოს მოცემულია **კითხვები**, რომელთა მიზანია არა მხოლოდ ფაქტობრივი მასალის კონსტანტირება (*ექსპლიციტური მასალის მოძიება*), არამედ ანალიზი, სინთეზი, შეფასება, დასკვნების გამოტანა, საკუთარი პოზიციის დაფიქსირება (*იმპლიციტური*). გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ რუბრიკას „შეარჩიეთ პასუხი და დაასაბუთეთ თქვენი აზრი“. ეს არ გახლავთ დახურული ტიპის ტესტური დავალება ერთადერთი სწორი პასუხით. მისი მიზანია, მოსწავლეს მისცეს არჩევანი – ჩვენ მიერ შეთავაზებული პასუხებიდან აარჩიოს ერთ-ერთი, რომელიც მისთვის მისაღებია, ოღონდ ისე, რომ აუცილებლად დაასაბუთოს თავისი აზრი. ამ ტიპის სავარჯიშოს მიზანია, ასწავლოს მოსწავლეს – მკითხველს – საკუთარი აზრის დასაბუთება, ალტერნატიული აზრის მოსმენა, მომზადოს მომავალში დისკუსიისათვის. თუ სახელმძღვანელოში მოცემული ალტერნატიული პასუხებიდან მოსწავლეს არ აკმაყოფილებს არც ერთი, მას შეუძლია საკუთარი ვარიანტის შემოთავაზებაც. არ არის აუცილებელი ტექსტის გააზრებისას მზამზარეული რეცეპტების შეთავაზება.



საკითხავ მასალასთან ინტეგრირებით ხდება ტექსტის **ენობრივ-გამოსახველობით მხარეზე დაკვირვებაც**, რაც სახელმძღვანელოში აღნიშნულია სპეციალური სიმბოლოთი. ამ ეტაპზე, ბუნებრივია, თავს ვიკავებთ ენობრივი დეფინიციების მიწოდებისაგან. ამ რუბრიკის მიზანია დააკვირვოს მოსწავლეს ენის გამოსახველობით საშუალებებზე, პრაქტიკულად დააუფლოს მართლწარმოთქმასა და მართლწერას.



თითოეული ტექსტის ბოლოში სპეციალური პირობითი ნიშნით აღნიშნულია **საწერი დავალება**, რომელიც მასწავლებელს, რა თქმა უნდა, შეუძლია შეცვალოს მოსწავლეთა ინტერესისა და კომპეტენციების გათვალისწინებით.



არსად არ ვუთითებთ თითოეული ტექსტისათვის (*ან ასო-ბგერისათვის*) საჭირო საათების რაოდენობას. მიგვაჩნია, რომ ეს მასწავლებლის გადასაწყვეტია.

ანბანისშემდგომი პერიოდისათვის არის გათვალისწინებული აგრეთვე დამატებით სავარჯიშოთა სისტემა „ენის სამყაროში“. ამ სავარჯიშოების მიზანია, მისცეს მოსწავლეებს ელემენტარული ცოდნა ისეთ საკითხებზე, როგორცაა: **ასო-ბგერა; ხმოვანი, თანხმოვანი; მარცვალი; სიტყვა; წინადადება; ტექსტი**. ჩვენი აზრით, იგი დაეხმარება პედაგოგებს, როგორც მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებასა და სამეტყველო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში, ისე – კალიგრაფიული ჩვევის სრულყოფაში. ეს თემები წიგნში გარკვეული სისიტემით არის დალაგებული. დაე, მასწავლებელმა თავად განსაზღვროს, რა მოცულობითა და სიხშირით სავარჯიშოს მოსწავლეები ამ საკითხებზე.

საკვირაო სკოლებში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მოსწავლეთა შეიარაღება სამეტყველო ეტიკეტის ჩვევებით. რა თქმა უნდა, ძნელია ერთ სახელმძღვანელოში წარმოადგინო სხვადასხვა ენობრივი კომპეტენციების მქონე მოსწავლეთათვის სავარჯიშოთა ერთიანი სისტემა, თუმცა იმედს ვიტოვებთ, რომ წინასაანბანო პერიოდისათვის მასწავლებლისათვის ჩვენ მიერ შეთავაზებული დავალებები მას გაუადვილებს მოსწავლეებთან ამ მიმართებით მუშაობას.



## წინასაანბანო პერიოდი

ამ პერიოდში მასწავლებლის მიზანია მოამზადოს მოსწავლე ქართული წერა-კითხვის შესასწავლად, გამოუმუშავოს სიტყვის ბგერითი ანალიზისა და სინთეზის ჩვევები, განუვითაროს მას ფონემატური სმენა, გაუმდიდროს მეტყველება ახალი ლექსიკური ერთეულებით, იმუშაოს ელემენტარული სტილისტური ჩვევების ფორმირებაზე, დააუფლოს ქართულ ბგერათა მართლწარმოთქმას, გააცნოს სამეტყველო ეტიკეტის ფორმები.

ზეპირმეტყველებაზე მუშაობა წინასაანბანო პერიოდში შემდეგნაირად შეიძლება წარმოებოდეს:

**1. კითხვა-პასუხი მოსწავლეთათვის ნაცნობი თემების ირგვლივ** – ეს შეიძლება იყოს: ბუნების სურათები, მოსწავლეთა გართობა-თამაშები, მათი ოჯახი, ოჯახის წევრები, ფრინველები და ცხოველები, წელიწადის დროები, საყვარელი ფილმები... კითხვებზე პასუხით გაირკვევა, რა ლექსიკური მარაგით მოვიდა ბავშვი სკოლაში, რამდენად ფლობს იგი ქართულ ენას, როგორია მისი მეტყველება, როგორ გამოთქვამს ქართულ ბგერებს, აქვს თუ არა დეფექტი მეტყველებაში...

**2. თხრობა ნაცნობ საგნებსა და მოვლენებზე** – მოსწავლეები გაბმული თხრობით გადმოსცემენ შთაბეჭდილებებს, ეპიზოდებს საკუთარი ცხოვრებიდან. ეს გაბმულ მეტყველებაზე მუშაობის ერთ-ერთი ფორმაა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მოსწავლეთა ლექსიკური მარაგი არაერთგვაროვანია, მათ ჯერ კიდევ არ შეუძლიათ გამართული თხრობა, უძნელდებათ აღწერა, მსჯელობა, მრავლად უშვებენ სტილისტურ და გრამატიკულ შეცდომებს. მასწავლებელს აქ მოთმინება მართებს — იგი ზედმეტად არ უნდა ჩაერიოს მოსწავლეთა თხრობაში.

**3. საბავშვო ლიტერატურული ნაწარმოებების მოსმენა** – იგი უღვივებს მოსწავლეებს ინტერესს, მომავალში თავადაც წაიკითხონ. ნაწარმოების მოსმენას მოსდევს ანალიზი კითხვა-პასუხის სახით, რაც ხელს უწყობს როგორც მოსმენილის გააზრებას, ასევე – მეტყველების განვითარებას.

**4. მცირე მოცულობის ლექსების დაზეპირება** – ეს მართლმეტყველებაზე მუშაობის ერთ-ერთი ფორმაა, ასევე უვითარებს მოსწავლეებს ესთეტიკურ გემოვნებას, აჩვენებს მხატვრულ სახეებზე დაკვირვებასა და მომავალში მათ გამოყენებას.

**5. სურათის აღწერა** – მოსწავლეებს ამ მიზნით შეიძლება შევთავაზოთ კომპოზიციური სურათები, რომლებზეც მათთვის საინტერესო საგნები და მოვლენები იქნება გამოსახული. სურათის აღწერა ხელს უწყობს არა მხოლოდ ლექსიკონის გამდიდრებას, არამედ გაბმული თხრობის უნარის გამომუშავებასაც.

**6. ფონემატური სმენის განვითარება** – ამ პერიოდში მოსწავლეები პრაქტიკულად აკვირდებიან, რომ ამბავი წინადადებებისაგან შედგება, წინადადებები — სიტყვებისაგან, სიტყვები – ბგერებისაგან. ამ დროს შეიძლება გამოვიყენოთ ტაქტის ხერხი (ანალიზისას ხელის რიტმული მოძრაობის/ტაქტის გამოყენება). მოსწავლეებს ვავარჯიშებთ ბგერათა მართლწარმოთქმაზე, განსაკუთრებით ეს ეხება სისინ-შიშინა ბგერებს (**ძ, ც, წ, ს, ჯ, ჩ, ქ, ჟ, შ**), სონორ ბგერებს (**ლ და რ**), ქართულისათვის დამახასიათებელ ყრუ მკვეთრებს (**პ, ტ, კ, ყ**). კარგია, თუ აქტიურად ჩაერთავთ ამ პროცესში „ენის გასატეხებს“.

ამავე პერიოდში ეცნობიან მოსწავლეები სახელმძღვანელოს გამოყენების წესებს (*ყდა, სარჩევი, ტექსტი, ილუსტრაცია*), არკვევენ სატიტულო ყდაზე მოთავსებული სიმბოლოების მნიშვნელობას...

## **აქვე გთვაზობთ გთვაზობთ თემატიკას წინასაანბანო პერიოდისათვის:**

### **1. სამეცყველო ეტიკეტი**

- მისალმებისა და დამშვიდობების ფორმები (გამარჯობა, სალამი, დილა მშვიდობისა, ნახვამდის, კარგად იყავი, მშვიდობით...)
- გაცნობა (ჩემი სახელია ..., მე მექვია..., მე ვარ... შენ რა გქვია?... ეს არის...)
- მადლობის გადახდა (გმადლობთ!)
- ბოდიშის მოხდა (ბოდიში)
- თხოვნა (შეიძლება წავიდე? შეიძლება შემოვიდე? შეიძლება გავიდე?...)
- თანხმობა (დიახ, შეიძლება); უარი (არა, არ შეიძლება)
- მოკითხვა (როგორ ხარ?)
- მიმართვა უფროსთან (როგორ ხართ/ბრძანდებით?)
- მიპატიჟება (მობრძანდით, დაბრძანდით, მეწვიეთ, მიირთვიეთ...)

### **2. ინფორმაციის გაცვლა**

- პირადი მონაცემები (რა გქვია? რა გვარი ხარ? რამდენი წლისა ხარ? რომელ კლასში ხარ?)
- მისამართი (მე ვცხოვრობ...)
- ჩემი ტელეფონია...
- ჩემი მშობლები არიან...
- პიროვნების იდენტიფიცირება (ეს ვინ არის?)
- საქმიანობა (მე მოსწავლე ვარ, მე ვსწავლობ ... კლასში/სკოლაში)

### **3. დროის აღრიცხვა**

- დროის ქრონოლოგია (გუშინ, დღეს, ხვალ, ახლა, მაშინ, დილა, საღამო, ღამე...)
- კვირის დღეები
- წელიწადის დროები (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი)
- დღესასწაულები (ახალი წელი, დედის დღე, დაბადების დღე...)

### **4. აღწერა**

- ადამიანის (მაღალი, დაბალი, ლამაზი, კეთილი, ჭკვიანი...)
- საგნის (დიდი, პატარა, ლამაზი, ცუდი, მოკლე, გრძელი...)
- ამინდის (კარგი, ცუდი, წვიმს, თოვს, ქარია, ცივა, ცხელა...)

### **5. სივრცეში ორიენტირება**

- ის სად არის? (შიგნით, გარეთ)
- სად არის წიგნი? (წიგნი მაგიდაზეა, მერხზეა, ჩანთაშია...)
- სად არის სკამი? (ოთახშია, ეზოშია...)
- სად არის ჩიტი? ძაღლი? კატა?...



## 6. დამოკიდებულება

- მოწონება, არმოწონება (მომწონს, არ მომწონს...)
- საკუთარი პოზიციის გამოხატვა (კარგია, ცუდია, სწორია, არ არის სწორი...)
- შეფასება (როგორია?)
- ემოციის გამოხატვა (რა კარგია! რა ცუდია!)

## 7. თემატური ლექსიკა

- ადამიანი და საზოგადოება (კაცი, ქალი, გოგო, ბიჭი, მშობლები, მეზობლები, ამხანაგები...)

- ადამიანის სხეულის ნაწილები (თავი, ხელი, ფეხი, ტანი, თითი, სახე, თმა...)
- ქალაქი (მოედანი, ქუჩა, სახლი, გზა, შენობა...)
- სოფელი (ეზო, სახლი, მინდორი, ბოსტანი...)
- გეოგრაფიული სახელები (ქვეყანა, ქალაქი, სოფელი, საქართველო, აზერბაიჯანი...)
- წარმომავლობის სახელები (ქართველი, აზერბაიჯანელი, რუსი...)
- სასწავლო ნივთები (ნიგნი, რვეული, კალამი, ფანქარი, ცარცი...)
- ოჯახი (დედა, მამა, და, ძმა, ბებია, ბაბუა...)
- სკოლა (მასწავლებელი, მოსწავლე, საკლასო ოთახი, სამასწავლებლო...)
- შენობა (სართული, ბინა, ოთახი, სამზარეულო, სააბაზანო, სადარბაზო, კედელი, ფანჯარა, კარი...)

- ავეჯი (მერხი, დაფა, კარადა, სკამი...)
- შინაური ცხოველები (ძროხა, ცხვარი, ძაღლი, კატა, თხა...)
- გარეული ცხოველები (დათვი, მელა, მგელი, ტურა, ლომი...)
- შინაური ფრინველები (ქათამი, ინდაური, ბატი, იხვი...)
- გარეული ფრინველები (არწივი, ბულბული, ბელურა...)
- ბუნების მოვლენები (ქარი, წვიმა, თოვლი, ყინვა...)
- ტანსაცმელი (კაბა, შარვალი, ფეხსაცმელი, წინდა, პერანგი, პიჯაკი, პალტო, ქურთუკი...)

- ჭურჭელი (თეფში, ჭიქა, ფინჯანი, კოვზი, ჩანგალი, ქვაბი...)
- ჯანმრთელობა (ავადმყოფი, ექიმი, წამალი, აფთიაქი...)
- ჰიგიენა (სავარცხელი, საპონი, პირსახოცი, ცხვირსახოცი, სუფთა, ჭუჭყიანი...)
- ტრანსპორტი (ავტობუსი, მანქანა, მატარებელი, მეტროპოლიტენი, ვაგონი...)
- ფულის ერთეულები
- სუპერმარკეტში, ბაზარში (რა ღირს? იაფია, ძვირია...)
- სათამაშოები (თოჯინა, ველოსიპედი, ბურთი, დოლი...)
- სურსათი (საჭმელი, რძე, ჩაი, ყავა, პური, კანფეტი, ნაყინი; საუზმე, სადილი, ვახშამი...)

- გართობა, თამაში
- სპორტი (ფეხბურთი, კალათბურთი, ცურვა, აუზი, სპორტული მოედანი...)
- კულტურული ობიექტები (კინო, თეატრი, კონცერტი, ზოოპარკი, ცირკი...)

თუ რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს წინასაანბნო პერიოდი, ეს თავად მასწავლებელმა უნდა გადაწყვიტოს მოსწავლეთა შესაძლებლობისა და თავისებურებების გათვალისწინებით. ჩვენი რჩევაა — არ განელოთ იგი დროში, რადგანაც გახსოვდეთ: **თქვენს მოსწავლეს ძალზე ეჩქარება ქართული ანბანის გაცნობა.**

# სანიშნოთი გაკვეთილის სცენარები წინასწარწავლაში პერიოდისათვის

## I გაკვეთილი

გაკვეთილის მასალა: ახალი სასწავლო გარემო, ენობრივი კომუნიკაციის ფორმები, თემატური ლექსიკა, წინადადება, სიტყვა

### გაკვეთილის მიზნები:

ახალი სასწავლო გარემოს გაცნობა  
სწავლასთან დაკავშირებული თემატური ლექსიკის დაუფლება  
მარტივი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების ფორმირება (ურთიერთგაცნობა)  
ლექსის დაზეპირება  
მოსწავლეთა მეტყველებაზე დაკვირვება, მათი ინდ. თავისებურებების გარკვევა

### გაკვეთილის მსვლელობა

#### აქტივობა 1 – ურთიერთგაცნობა, ახალი სასწავლო გარემოს გაცნობა:

– ეს გაკვეთილი რამდენადმე არატრადიციული ფორმით დაიწყება, დიდი დრო ეთმობა ურთიერთგაცნობასა და ამასთან დაკავშირებული მარტივი საკომუნიკაციო ჩვევების ფორმირებას:

- შენ ვინ ხარ? რა გქვია? (მე ვარ გიორგი, ჩემი სახელია გიორგი...)
- რა გვარი ხარ? რამდენი წლის ხარ? სად ცხოვრობ?...

მასწავლებელი საუბრის გზით არკვევს მოსწავლეთა ვინაობას, აცნობს სამეტყველო ეტიკეტის: მისალმება-დამშვიდობების (გამარჯობა, სალამი... ნახვამდის, მშვიდობით, კარგად იყავი/ბრძანდებოდეთ...), მაღლობის (გმაღლობთ), ნებართვის (შეიძლება ავილო? შეიძლება შემოვიდე?... – დიახ, შეიძლება; არა, არ შეიძლება), ბოდიშის მოხდის (ბოდიში, მაპატიეთ), მიმართვის (თანატოლებთან და უფროსებთან)... ფორმებს: სკოლის რეჟიმს, წარმოათქმევენებს ლექსებს ქართულ ენაზე (თუ იციან), აფიქსირებს ახალი სასწავლო გარემოთი გამონვეულ განწყობილებას, აკვირდება მოსწავლეთა მეტყველებას ფონეტიკურ-ინტონაციური და ლექსიკური თვალსაზრისით; ათვალთვლებს სახელმძღვანელოს, დააკვირებს მასში მოთავსებულ ილუსტრაციებსა და ტექსტებზე; აცნობს მისი გამოყენების წესებს...

#### აქტივობა 2 – სურათის აღწერა:

მასწავლებელი კლასის ყურადღებას შეაჩერებს სახელმძღვანელოს დასაწყის გვერდზე მოთავსებულ სურათებზე, სთხოვს გაარკვიონ – რა არის დახატული, შეურჩიონ სათაური ჯერ თითოეულ მათგანს (პირობითად: 1.შეხვედრა მასწავლებელთან, 2.პირველი გაკვეთილი, 3.დასვენებაზე...), შემდეგ კი – ყველას ერთად (პირველი დღე სკოლაში), სცადონ, დააფიქსირონ სურათზე გამოხატულ მოსწავლეთა ემოციები, გაარკვიონ — რით არის იგი გამონვეული; შეადარონ იმ სასწავლო გარემოს, რომელიც მათ საკვირაო სკოლაში დახვდათ...

აქტივობა 3 – ლექსის დაზეპირება – მასწავლებელი კლასს უკითხავს ნაწყვეტს გ. ლეონიძის ლექსიდან „დედაენა“:

„ჩვენი ნიგნი, ჩვენი დედა,  
ჩვენი ენა ქართული,

ოქროსხმიან სიმებად  
გულში ამოხლართული.“

გაირკვევა სიტყვა „დედაენის“ მნიშვნელობა – იგი აღნიშნავს მშობლიურ ენას („ქართული ჩვენი დედაენაა“), ასევე – იმ წიგნის სახელწოდებაცაა, რომლითაც ქართველი ბავშვები ქართულ წერა-კითხვას სწავლობენ („იაკობ გოგებაშვილმა ბავშვებს „დედაენა“ შეუდგინა“).

აიხსნება სიტყვათშეთანხმებანი: „ოქროსხმიანი სიმები“ – სიმები, რომლებიც სასიამოვნო ხმებს გამოსცემენ (სიმი – საკრავზე გაბმული მავთული, აბრეშუმის ძაფი, რომელიც რხევისას მუსიკალურ ბგერას გამოსცემს – გიტარის სიმი, ჩონგურის სიმი...); „გულში ამოხლართული“ – გულში ღრმად ჩაბეჭდილი...

გაანალიზდება ლექსი – რატომ არის წიგნი დედასთან შედარებული, რა იგულისხმება „ოქროსხმიან სიმებში“ (დედაენა, რომელიც ბავშვებმა ამ წიგნით უნდა შეისწავლონ)...

მოსწავლეები ლექსს იზეპირებენ როგორც გუნდურად, ისე – ინდივიდუალურად.

#### **აქტივობა 4 – ენობრივ მასალაზე დაკვირვება:**

მოსწავლეები აკვირდებიან ჯერ პირველ წრეში მოთავსებულ სურათებს, ასახელებენ მათ სახელებს (სათამაშო მანქანა, თოჯინა, ბზრილა, ბურთი), არკვევენ, რა აქვთ ამ საგნებს საერთო, რატომ არიან ერთ წრეში მოქცეული, რა საერთო სიტყვა აერთიანებს მათ (სათამაშო), ასევე აკვირდებიან მეორე წრეში მოქცეულ საგნებს (ფანქრები, ჩანთა, რვეული, წიგნი, კალამი), რა საერთო ცნების ქვეშ შეიძლება მათი გაერთიანება (სასწავლო ნივთები). აკვირდებიან ამავე გვერდზე მოთავსებულ მარტივ სიუჟეტთან სურათებს (ბიჭი ხატავს, გოგონა წერს, გოგონა ხელს იწვეს), მათი გამოყენებით შედგება ორ- და სამსიტყვიანი წინადადებები, გაირკვევა – რამდენი სიტყვა ესმით პირველ წინადადებაში (ამ დროს მასწავლებელი იყენებს „ტაქტის ხერხს“ – თითოეული სიტყვის წარმოთქმისას უკრავს ტაქს):

– რომელია აქ პირველი სიტყვა? (ბიჭი), მეორე? (ხატავს).

ასევე გაანალიზდება მეორე და მესამე წინადადებებიც.

## **II გაკვეთილი**

**გაკვეთილის მასალა: თემატური ლექსიკა, \_ ბოსტნეული; წინადადება, სიტყვა, მარცვალი, გპერა (პრაქტიკულად), ხელის სავარჯიშო**

### **მიზნები:**

თემატური ლექსიკის (ბოსტნეული) დაუფლება  
გაბმული მეტყველების განვითარება  
ლექსის დაზეპირება  
სიტყვის დამარცვლა (პრაქტიკულად)  
ბგერის პოზოციაზე დაკვირვება  
წერისათვის მზადება – ხელის სავარჯიშო

### **აქტივობა 1 – თემატური ლექსიკის გაცნობა:**

მასწავლებელი კლასს აკვირებს სახელმძღვანელოში მოთავსებულ ბოსტნეულის სუ-

რათებზე: პომიდორი, ხახვი, ბადრიჯანი, კიტრი, კარტოფილი, კომბოსტო, ქარხალი, სტაფილო. გაარკვევენ, რატომ არის ისინი ერთ წრეში გაერთიანებული და რა საერთო სახელი აერთიანებს მათ (ბოსტნეული).

– რისთვის იყენებენ ბოსტნეულს? (საკვებად).

– თუ იცით, როგორ მოჰყავთ ბოსტნეული? (აქ მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს სიტყვის – ბოსტანი – მნიშვნელობას: მინის ნაკვეთი, სადაც მოჰყავთ საჭმელ-საკაში მცენარეები – კომბოსტო, პომიდორი, კიტრი, ხახვი... მწვანილი).

– კიდევ ხომ არ გაიხსენებთ სხვა ბოსტნეულსაც, რომლებიც სურათზე არ არის დახატული?

### **აქტივობა 2 – სურათის აღწერა:**

„ბავშვები ბოსტანში“. სურათზე გამოსახულ ბავშვებს მოსწავლეები შეუარჩევენ სახელებს და მასწავლებლის დამხმარე კითხვების საშუალებით ადგენენ ზეპირ თხზულებას:

– ვის ხედავთ სურათზე? (ბავშვებს).

– სად არიან ისინი? (ბოსტანში).

– რატომ ფიქრობთ ასე? (სურათზე მოჩანს კომბოსტო, ბავშვებს კი თოხი და ბარი უჭირავთ ხელში).

– შევუარჩიოთ მათ სახელები (პირობითად: გიორგი, თიკო, ლაშა, ზურა, ნინო, კახა).

– რას შვრება გიორგი? რა უჭირავს მას ხელში? (გიორგი დგას, მას ცალი ხელი ჯიბეში აქვს ჩაყოფილი, მეორეში კი ჯოხი უჭირავს).

– თიკოს რა უჭირავს ხელში? (ბარი). რას აკეთებენ ბარით? (მინას ბარავენ). რა აცვია თიკოს? (თიკოს კაბა აცვია, კაბაზე წინსაფარი უკეთია). რა ფერის არის მისი კაბა? როგორია მისი წინსაფარი? რა ახურავს თავზე?

– რა უჭირავს ხელში ლაშას? (თოხი და ვედრო). როგორ ფიქრობთ, რად უნდა ვედრო? (წლის მოსატანად).

– რას შვრება ზურა? (სარწყავით ყვავილებს რწყავს).

– ვინ იყურება ფანჯრიდან? (ნინო).

– რას შვრება ნინო? (ის ზურას ელაპარაკება).

– სურათზე კიდევ მოჩანს ერთი ცოცხალი არსება. რა არის ეს? (ძაღლი). შევუარჩიოთ მას სახელი.

– რას აკეთებენ ბავშვები ბოსტანში? (ისინი კომბოსტოს უვლიან, ზურა კი ყვავილებს რწყავს).

– როგორ ფიქრობთ, შეძლებენ ბავშვები კარგი მოსავლის აღებას? (აქ მოსწავლეთა ფანტაზიას შეიძლება მივცეთ გასაქანი, დაე, მათ საკუთარი სურვილსამებრ შეძლონ სურათზე გამოსახული ამბის გაგრძელება).

– რა სათაური შეიძლება შევუარჩიოთ ამ სურათს? (ბოსტანში; ბავშვები ბოსტანში; უფროსებს დაეხმარნენ ...)

### **აქტივობა 3 – ენობრივ მასალაზე დაკვირვება:**

გავიმეოროთ სიტყვა „კომ-ბოს-ტო“ (მასწავლებელი ამ სიტყვას დამარცვლით წარმოთქვამს და თითოეული მარცვლის წარმოთქმისას ტაშს უკრავს – იყენებს „ტაქტის ხერხს“).

– რამდენი მარცვალი წარმოთქევი? რომელია პირველი მარცვალი? მეორე? მესამე?..

ასევე დაიმარცვლება სიტყვები: ხახ-ვი, პო-მი-დო-რი, კიტ-რი, სტა-ფი-ლო, ქარ-ხა-ლი.

მასწავლებელი ერთხელ კიდევ მკაფიოდ წარმოთქვამს სიტყვას „კომბოსტო“.

– რომელი ბგერით იწყება ეს სიტყვა? (კ ბგერით). რომელი ბგერით იწყება სიტყვა „ხახვი“? „პომიდორი“?..

– ახლა დავაკვირდეთ სურათს, აქ ხატია კალათი და მის ირგვლივ კი – ბოსტნეული. მოდით, კალათში მხოლოდ ის ბოსტნეული „ჩავანყოთ“, რომელთა სახელები კ ბგერით იწყება (კიტრი, კარტოფილი, კომპოსტო).

#### **აქტივობა 4 – ლექსის მოსმენა და დაზეპირება:**

მასწავლებელი კლასს გამომეტყველებით უკითხავს ოთარ შალამბერიძის ლექსს „ჩემი ბაღია“:

*„მოდით, ნახეთ ჩემი ბაღია,  
ნაირფერი, როგორც ფარჩა,  
აგერ ქინძი,  
აგერ კამა,  
ნიორი და ნიახური,  
სწავლის შემდეგ ბაღის მოვლა  
გახლავთ ჩემი სამსახური“.*

აიხსნება სიტყვა „ბაღის“ მნიშვნელობა: პატარა ბაღი, სადაც ყვავილებთან ერთად ბოსტნეულსაც თესავენ. ასევე აიხსნება სიტყვები: *ფარჩა – აბრეშუმის ძვირფასი ფერადი ქსოვილი; ქინძი, კამა, ნიახური – მწვანილები.*

მოსწავლეები იზეპირებენ ამ ლექსს, ყურადღება ექცევა ბგერათა მართლწარმოთქმას.

#### **აქტივობა 5 – წერისათვის მზადება:**

– შუა უჯრაში პარალელური ხაზების გავლება. მასწავლებელი კლასს ესაუბრება წერის ჰიგიენის წესებზე, აკვირვებს საწერ ბადეზე, ესაუბრება სივრცით ორიენტაციაზე (ზემოთ, ქვემოთ, ზედა ხაზი, შუა ხაზი, ქვედა ხაზი, დიდი უჯრა, პატარა უჯრა, მარცხნივ, მარჯვნივ...), აკვირვებს, საიდან იწყება ამ ხაზების მოხაზულობა, სად მთავრდება, რომელ უჯრაში, რომელ ხაზზეა განთავსებული, რამდენი უჯრა უნდა დავტოვოთ მათ შორის... მოსწავლეები ვარჯიშობენ ჯერ დაფაზე, შემდეგ – რვეულებში.

წინსაანბანო პერიოდი მასწავლებელს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია გაამრავალფეროვნოს სხვადასხვა სახის სიუჟეტური სურათებით, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება ლექსიკური მარაგის გამდიდრებასა და გაბმული მეტყველების განვითარებაში; ასევე, მას კლასის ინტერესებისა და შესაძლებლობის მიხედვით შეუძლია შეარჩოს ლიტერატურული მასალა, რომელსაც თვითონვე წაუკითხავს მოსწავლეებს.

#### **მოსალოდნელი შედეგები წინასაანბანო პერიოდის პოლოს:**

- I. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და ადეკვატურად აღიქვას ინფორმაცია;
- II. შეუძლია თხრობითი ხასიათის ილუსტრირებული მხატვრული ტექსტის მოსმენა და გაგება;
- III. ზეპირად შეუძლია ინფორმაციის გადმოცემა მისთვის ნაცნობ თემაზე (მარტივად);
- IV. განვითარებული აქვს ფონემატური სმენა, შეუძლია წინადადებების დაშლა სიტყვებად, სიტყვებისა – მარცვლებად, მარცვლებისა – ბგერებად;
- V. შეუძლია ბგერის პოზიციის გარკვევა სიტყვაში;
- VI. ძირითადად დაუფლებულია ქართული ბგერების წარმოთქმის სპეციფიკას;
- VII. ახერხებს ოთხხაზიან საწერ ბადეში ორიენტირებას და შეუძლია მასწავლებლის მითითებით სხვადასხვა დეტალების (სწორი ხაზი, რკალი, რგოლი) მოხაზვა.



# სანიშნოთილუბის სცენარები საანბანო პერიოდისათვის

## გაკვეთილის მასალა: **ი და ა ასო-ბგერები**

### მიზნები:

- ი და ა ასოების გაცნობა, მათი კითხვა და წერა
- სიტყვის ბგერითი ანალიზისა და სინთეზის უნარის განვითარება
- ფონემატური სმენის განვითარება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- გრაფიკული ჩვენების ფორმირება
- სწორი კითხვის ჩვენის გამომუშავება
- თავაზიანი მიმართვის ფორმების დაუფლება

### აქტივობა 1 – პროვოცირება:

მასწავლებელი კლასს გამომეტყველებით უკითხავს ნოდარ დუმბაძის ლექსს „ია“:

*„რა ყვავილს ვგავარ, თუ იცით?  
კარგად შემხედეთ, აბა,  
ცისფერი ქუდი მახურავს,  
მაცვია ლურჯი კაბა,  
ბალში ვარ, ხელით მატარებს  
ჩვენი მებაღე ძია,  
თავზე პეპელა მაზის და  
იცით? მე ია მქვია“.*

გაანალიზდება, როგორ არის ლექსში ია დახასიათებული (ცისფერი ქუდი ახურავს, ლურჯი კაბა აცვია), იხსენებენ, რა იციან ამ ყვავილის შესახებ, ჩამოთვლიან მის ნიშნებს (აქ სასურველია მასწავლებელმა გამოიყენოს საგნობრივი თვალსაჩინოება და თვალნათლივ აჩვენოს მოსწავლეებს ია ან მისი სურათი): გაზაფხულის მახარობელია, მინდვრის ყვავილია, სურნელოვანია, ნაზია, ლურჯი ფერის არის... მოსწავლეები სურვილის მიხედვით იზეპირებენ მთლიანად ლექსს ან მხოლოდ მის ნაწილს.

### აქტივობა 2 – სიტყვის ანალიზი და სინთეზი:

ლექსის დაზეპირების შემდეგ მოსწავლეთა საერთო ძალებით სიტყვის – ია – გამოყენებით შედგება წინადადება: „ია ლამაზი ყვავილია“, / „ია გაზაფხულზე ყვავის“...

– რამდენი სიტყვა გესმით ამ წინადადებაში? რომელია პირველი სიტყვა? მეორე? მესამე?

– გავიმეოროთ სიტყვა „ია“ (წარმოთქვამს დამარცვლით: ი-ა). რამდენი ბგერა გესმით? რომელია პირველი ბგერა? მეორე?

– მოვიფიქროთ სიტყვები, რომლებიც ა) ი (ა) ასო-ბგერით იწყება, ბ) ი (ა) ასო-ბგერაზე მთავრდება, გ) ორი ი (ა) ასო-ბგერაა, დ) ი და ა ასო-ბგერები ერთად გვხვდება...

– დავასახელოთ სიტყვები, რომლებიც ა) „ია“-თი იწყება (იადონი, იასამანი, იამზე...), ბ) რომლებიც „ია“-თი მთავრდება (გალია, ლია, გია...).

### **აქტივობა 3 – ი და ა ასოების გაცნობა:**

ამის შემდეგ მასწავლებელი „მოძრავი ანბანიდან“ აჩვენებს ი და ა ასოებს, ავალებს მოსწავლეებს, თავადაც მოძებნონ ისინი და აჩვენონ ერთმანეთს. მოსწავლეები მოძრავი ასოების გამოყენებით ადგენენ სიტყვებს „ია“, „აი“. ანალიზებენ, რამდენი ასოა თითოეულ სიტყვაში, აინყობა ფრაზა: „აი ია“, აკვირდებიან, რამდენი სიტყვაა, რომელია პირველი სიტყვა, მეორე; შემდეგ ამ სიტყვებს უვცლიან ადგილებს და ისე კითხულობენ მიღებულ ფრაზას...

### **აქტივობა 4 – საანალიზო მასალის კითხვა:**

„მოძრავი ანბანით“ ვარჯიშის შემდეგ მასწავლებელი სახელმძღვანელოდან კითხულობს საანალიზო ტექსტს „ია“, ავარჯიშებს მის კითხვაში მოსწავლეებსაც, კითხულობენ როგორც ინდივიდუალურად, ისე – გუნდურად.

მასწავლებელი კლასის ყურადღებას მიაპყრობს „მატარებელს“, რომელსაც ყველა ფანჯარა დაკეტილი აქვს, გარდა ორისა, საიდანაც **ი** და **ა** ასოები მოჩანს:

– ეს დახურული ფანჯრები თანდათან გაიღება ყოველი ახალი ასო-ბგერის შესწავლისას. როცა ყველა ფანჯარა გაიღება, ანუ ყველა ასო თავის ადგილს დაიკავებს, თქვენ უკვე კითხვა გეცოდინებათ და მატარებელიც დაიძვრება ქართული ენის სამყაროსაკენ!

### **აქტივობა 5 – ი და ა ასოების, სიტყვისა და ფრაზის წერა:**

დაფაზე იწერება **ი** ასო, გაანალიზდება გრაფიკულად (რომელ უჯრაში იწერება, რას ჰგავს მხაზულობით – რკალს, საიდან იწყება მისი წერა, საითკენ მიემართება ხელი, სად მთავრდება). ასევე გაანალიზდება **ა** ასოც, შემდეგ კი სიტყვა – **ია** და ფრაზა — **აი ია** (რამდენი ასოა, რომელია პირველი ასო, მეორე, რა შუალედებია ასოებს შორის, სიტყვებს შორის, რა წერია წინადადების ბოლოს, უჯრის რომელ კუთხეშია „წერტილი“ განთავსებული). მოსწავლეები ვარჯიშობენ ჯერ დაფაზე, შემდეგ კი – რვეულებში.

### **აქტივობა 6 – სიტუაციური სავარჯიშო:**

ამგვარი სავარჯიშოს შესრულებას სულ რამდენიმე წუთი ეთმობა. მასწავლებელი კლასს სთავაზობს თემას, რომელზეც მოსწავლეებმა უნდა შეთხზან მცირე ზომის ტექსტი და გაითამაშონ დიალოგების სახით. ამჯერად გთავაზობთ თემას „**სტუმრად**“. მოსწავლეებმა უნდა აღწერონ ეს სიტუაცია (ვინ არის სტუმარი, ვინ არის მასპინძელი, როგორ ვხვდებით სტუმარს...), თავად წამოიდგენენ თავს სტუმრის (მასპინძლის) როლში და საუბრობენ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მიმართვის ფორმებს (მობრძანდით, დაბრძანდით, მიირთვიეთ, გმადლობ...), ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ წყვილებში მუშაობაც (სტუმარი, მასპინძელი).

## გაკვეთილის მასალა: შ ასო-ბგერა

### მიზნები:

- შ ასო-ბგერის გაცნობა, მისი კითხვა და წერა
- სიტყვის ბგერითი ანალიზისა და სინთეზის უნარის განვითარება
- ფონემატური სმენის განვითარება
- ბგერის მართლწარმოთქმაზე ვარჯიში
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- სწორი კითხვისა და წერის ჩვევის გამომუშავება
- მეტყველების განვითარება

**აქტივობა 1: პროვოცირება** – მასწავლებელი კლასს ესუბრება ფრინველების შესახებ. უჩვენებს მათს სურათებს და ავალებს, გაიხსენონ რა იციან მათ შესახებ. დაჯგუფდება: ა) შინაური ფრინველები: (ქათამი, ინდაური, იხვი, ბატი...), ბ) გარეული ფრინველები (მერცხალი, ბელურა, არწივი, შოშია...), ანვდის მოკლე ინფორმაციას მათ შესახებ – სად ცხოვრობენ, რით იკვებებიან, რომელი გარეული ფრინველებია გადამფრენი, სად მიფრინავენ ზამთარში, რატომ მიფრინავენ... შემდეგ გამომეტყველებით უკითხავს შიო მღვიმელის ლექსს „შოშია და ბავშვები“:

„– რად მოფრენილხარ, შოშიავ,  
შენ ასე ადრიანადა?  
– რა ვქნა, ვიყავი სხვა მხარეს,  
ვიყავი ნალვლიანადა.  
ვიცოდი, ზამთრის ნაწყვეტი  
აქ კიდევ დამიხვდებოდა,  
შემანუხებდა შიმშილი  
და კიდევ შემცივდებოდა,  
მაგრამ გავბედე წამოსვლა,  
არ შევუშინდი ზამთარსა  
და მოვატანე კიდეცა  
ჩემი სამშობლოს მთა-ბარსა“.

ლექსი ლექსიკური თვალსაზრისით ცოტა რთულია, ამიტომ აიხსნება სიტყვები და გამოთქმები:

**ვიყავი ნალვლიანადა** – მონყენილი ვიყავი  
**ზამთრის ნაწყვეტი** – ზამთრის ნარჩენი, სუსხი, სიცივე  
**შემანუხებდა შიმშილი** – მომშივდებოდა, საჭმელის შოვნა გამიჭირდებოდა  
**მოვატანე... სამშობლოს** – სამშობლოში დავბრუნდი

გაირკვევა, ვისი საუბარია ლექსში გადმოცემული (შოშიასი და ბავშვების), რას ეკითხებიან ბავშვები შოშიას (რატომ მოფრინდა იგი ასე ადრე), რას პასუხობს შოშია (სხვა მხარეში ძალიან მონყენილი ვიყავი და ველარ გავძელიო), რატომ არ შეუშინდა იგი ზამთარს (მას ძალიან ენატრებოდა თავისი ქვეყანა და ამიტომაც არ ეშინოდა ზამთრის), როგორია ამ ლექსის მიხედვით შოშია (გამბედავი, უშიშარი, ძალიან უყვარს თავისი სამშობლო...). მოსწავლეები იზებირებენ ამ ლექსს და კითხულობენ წყვილებში როლებად (შოშია, ბავშვები).

## აქტივობა 2 – სიტყვის ანალიზი და სინთეზი:

ლექსის მიხედვით შედგება წინადადება, რომელშიაც იქნება სიტყვა „შოშია“ (შოშია სამშობლოში დაბრუნდა, /შოშია უშიშარი ფრინველია/, შოშიას ძალიან უყვარს თავისი სამშობლო...).

– რამდენი სიტყვაა ამ წინადადებაში? რომელია პირველი სიტყვა? მეორე? მესამე?..

– მკაფიოდ წარმოთქვით სიტყვა **შო-ში-ა** (მასწავლებელი მკაფიოდ წარმოთქვამს ამ სიტყვას დამარცვლით, შეიძლება ამ დროს გამოიყენოს ტაქტის ხერხი – ტაში თითოეული მარცვლის წარმოთქმისას). რამდენი მარცვალი გესმით ამ სიტყვაში? რომელია პირველი მარცვალი? მეორე? მესამე? რამდენი ბგერა გესმით ამ სიტყვაში? (სიტყვას შლის ბგერებად: **შ-ო-შ-ი-ა**. აქაც შეიძლება ტაქტის ხერხის გამოყენება). რომელია პირველი ბგერა? მეორე? მესამე?.. რომელი ბგერა მეორდება?

– მკაფიოდ წარმოთქვით ბგერა **შ** (თვითონ აძლევს ამ ბგერის მართლწარმოთქმის ნიმუშს და ავარჯიშებს მის წარმოთქმაზე. **დაიმახსოვრეთ: შ** ამ ასაკის მოსწავლეთათვის წარმოსათქმელად საკმაოდ რთული ბგერაა ამიტომ ამ მიმართებით მუშაობაა საჭირო).

– დაასახელეთ სიტყვები, რომლებიც ა) **შ** ბგერით იწყება, ბ) რომელშიც **შ** ბგერაა, გ) ორი **შ** ბგერაა.

აქვე შეიძლება დავაზეპირებინოთ ენის გასატეხიც:

„შარიშური, შარიშური, ვინ წაუსვა შავ შაშვს მური?“

## აქტივობა 3 – მოძრავი ანბანით მუშაობა:

მასწავლებელი კლასს „მოძრავი ანბანიდან“ უჩვენებს **შ** ასოს, მოსწავლეებიც ეძებენ მას თავიანთ ანბანში და მისი გამოყენებით აწყობენ სიტყვებს: „შოშია“, „მუშა“, „შუშა“, „შეშა“, „შოთი“, „შოთა“... ამ დროს შეიძლება გამოვიყენოთ ჯგუფური მუშაობა: მოსწავლეებს შეეძლება ერთმანეთის შეცდომის აღმოჩენა და გასწორება. ხდება აწყობილი სიტყვების ანალიზი (სიტყვები დაიშლება ჯერ მარცვლებად, შემდეგ – ასოებად), შემდეგ – სინთეზი (ასოების შეერთებით ჯერ მარცვლების, შემდეგ სიტყვების მიღება), აიწყობა წინადადება: „შოშიას შია“, გაანალიზდება, რამდენი სიტყვაა მასში, რამდენი მარცვალია თითოეულ სიტყვაში, რომელ სიტყვაში გვხვდება **შ** ასო ერთხელ, რომელ სიტყვაში მეორდება იგი...

## აქტივობა 4 – ტექსტის კითხვა:

ტექსტს გამომეტყველებით, მკაფიოდ კითხულობს მასწავლებელი, სასურველია, ამ დროს მოსწავლეები თვალს ადევნებდნენ მასწავლებლის წაკითხულს. მოსწავლეები ვარჯიშობენ ტექსტის კითხვაში ჯერ ინდივიდუალურად, შემდეგ – გუნდურად. აიხსნება მათთვის გაუგებარი სიტყვები (**მაშო** – გოგონას სახელია, **შიო** – ბიჭის სახელია, **შოთი** – თონეში გამომცხვარი გრძელი ფორმის პურია...). სასურველია, მოსწავლეებმა თვითონ მოიძიონ ასეთი სიტყვები და თვითონვე ურთიერთდახმარებით ახსნან იგი. მასწავლებელი ჩაერევა საჭიროების შემთხვევაში.

ტექსტს კითხულობენ როგორც მთლიანად, ისე — ნაწილ-ნაწილ. მივმართავთ **გამოკრებით კითხვასაც**: მოძებნეთ და წაკითხეთ ტექსტში სიტყვები, ა) რომლებიც იწყება **შ** ბგერით (შეშა, შუშა, შოთი), ბ) რომელშიც **შ** ბგერა შუაშია (მუშა, მიშა), გ) რომელშიც ორი **შ** ბგერაა (შეშა, შუშა, შოშია), დ) რომლებიც ორი ერთნაირი ხმოვნით მთავრდება (შეშაა, შუშაა, მუშაა), ე) რომლებშიც ერთი თანხმოვანი და ორი ხმოვანია (შია, შიო, უთო).

– მოძებნეთ და წაკითხეთ ა) პირველი სტრიქონის მეორე წინადადება, ბ) მეორე სტრიქონის ბოლო წინადადება, გ) ორმარცვლიანი სიტყვები, დ) სამმარცვლიანი სიტყვები...

საკითხავი მასალის მიხედვით მოსწავლეები ერთმანეთს (ან მასწავლებელი მოსწავლეებს) უსვამენ კითხვებს ტექსტის ირგვლივ: – შიო ვისი ძმაა? (შოთასი), შეშა რისია?

(მუხის), უთო ვისია? (მაშოსი), შოშია როგორი ფრინველია? (მგალობელი), კიდევ რომელი მგალობელი ფრინველები იცით?..

აქვე ტექსტში მოცემულია მარცვლები (შო-, -შა), მოსწავლეებმა უნდა დაუმატონ მარცვალთა ბოლოში ან თავში ისე, რომ სიტყვები მიიღონ (შო-თა, შო-ბა, შო-თი; მუ-შა, შე-შა, შუ-შა).

#### **აქტივობა 5 – შ ასოს წერა ცალკე, სიტყვაში, წინადადებაში:**

დაფაზე იწერება შ ასო, გაანალიზდება იგი გრაფიკულად (რამდენ უჯრაში იწერება, საიდან იწყება მისი წერა, საით მიემართება ხელი მისი წერისას, სად მთავრდება, რომელ ასოს ჰგავს მოხაზულობით /მ-ს/, რით ჰგავს ამ ასოს, რით განსხვავდება...). ასევე გაანალიზდება სიტყვა „შოშია“ და წინადადება „შიო მიშას ძმაა“. ყურადღება მახვილდება შუალედების დაცვაზე ა) ასოთა შორის (შ ასოს წერა უჯრის გამოტოვების გარეშე იწყება), ბ) სიტყვათა შორის, გ) სიტყვასა და სასვენ ნიშანს შორის.

#### **აქტივობა 6 – სიტუაციური სავაჯიშო – „მისაღმება“:**

მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად ქმნიან სხვადასხვა სიტუაციას: ა) როდესაც ასაკით უფროსი ესაღმება უმცროსს, ბ) როდესაც ასაკით უმცროსი ესაღმება უფროსს, გ) როდესაც თანატოლები ესაღმებიან ერთმანეთს. მოსწავლეები ეცნობიან და მოცემულ სიტუაციაში იყენებენ მისაღმების ისეთ ფორმებს, როგორცაა: გამარჯობა, მოგესალმებით, დილა მშვიდობისა... აგრეთვე ყურადღება მახვილდება მისაღმებისას შესტ-მიმიკის გამოყენებაზე: ხელის აწევა, ხელის ჩამორთმევა, ქუდის მოხდა, თავის დაკვრა...

#### **მოსალოდნელი შედეგები საანბანო პერიოდის შემდეგ:**

1. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და ადეკვატურად აღიქვას მარტივი ინფორმაცია; შეუძლია სწორად რეაგირება ნაცნობ სამეტყველო სიტუაციებში.
5. მოსწავლეს გამომუშავებული აქვს ფონოლოგიური უნარ-ჩვევები.
6. მოსწავლეს შეუძლია ანბანური პრინციპის გაგება და გამოყენება.
7. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი კოდის გაშიფვრა.
9. მოსწავლეს შეუძლია ანბანის ყველა ასოს გამოწერა.
10. მოსწავლეს შეუძლია კარნახით წერა და ნაბუჭდი ტექსტიდან / დაფიდან მარტივი წინადადებების გადანერა.



## სანიშნოთა გაკვეთილების სცენარები ახანისუბანში პერიოდისათვის:

გაკვეთილის მასალა: **ა. ბურბანიძის ლექსი „აი ია“; სიტყვა, მარცვალნი**


### მიზნები

- სწორი და შეგნებული კითხვის ჩვევის გამომუშავება.
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება, ახალი ლექსიკური ერთეულების დაუფლება და მეტყველებაში პრაქტიკულად გამოყენება.
- გაბმულ მეტყველებაზე მუშაობა.
- აზროვნების განვითარება – საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და დასაბუთება.
- გრაფიკული ჩვევების დაუფლება.

### აქტივობა 1 – კითხვისათვის მზადება:

მასწავლებელი წარმოთქვამს და დაფაზე წერს ფრაზას – „აი ია“. კლასს ავალებს, მოიფიქროს, რას ახსენებს ეს ფრაზა, რა იციან მის შესახებ...

მუშაობა შეიძლება ჩატარდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილებში. მოსაფიქრებლად ეძლევა რამდენიმე წუთი. მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს ამ ფრაზის ირგვლივ, თითოეული მოსაზრება იწერება დაფაზე, ამ დროს დაუშვებელია კამათი, კრიტიკა, შეფასება. მოქმედებს პრინციპი: **„ყველა აზრი მნიშვნელოვანია“**. დაფაზე ივსება **„გონებრივი იერიშის რუკა“**:



### აქტივობა 2 – ტექსტის კითხვა:

ტექსტს კითხულობს ჯერ მასწავლებელი, შემდეგ კი – კითხვაში განაფული მოსწავლე. კონტექსტის მიხედვით აიხსნება ახალი სიტყვები და გამოთქმები:

**შენის** – ალამაზებს, ამშვენებს;

**მოჩქეფს** – მოჩუხჩუხებს, მოედინება (ითქმის წყალზე, სითხეზე), **საქართველოს უკვდავება მოჩქეფს** – საქართველოს უკვდავება გრძელდება,

**დაილია** – აქ: დამთავრდა, გამოილია; **საქართველოს უკვდავება... განა დაილია** – საქართველოს ბედნიერება, სიკეთე, არ დამთავრებულა;

**მომავალი თაობა** – ახალგაზრდები, აქ: ბავშვები, რომლებიც ქართულად წერა-კითხვას სწავლობენ;

**მამული** – სამშობლო...

აქვე მოსწავლეები ათვალთქმობენ ფერად ილუსტრაციას – მერცხალს აივნის სახურავთან ბუდე აქვს გაკეთებული, ბარტყებს თავს დასტრიალებს, საკვებს უზიდავს. იქვე გადაშლილია „დედა ენა“.

აკეთებენ დასკვნას – აივნიან სახლს მერცხლის ბუდე შვენის, „დედაენას“ – „აი ია“.

ვარჯიშობენ კითხვაში. გამოიყენება კითხვის ყველა სახე (**ინდივიდუალური, გუნდური, გაგრძელებით, გამოკრებით...**) ყურადღება მახვილდება მართლწარმოთქმაზე, სასვენი ნიშნების („წერტილი“, „მძიმე“) ხმარების შემთხვევებზე, სწორი კითხვის ჩვევებზე...

ამავე გვერდზე მოცემულია გამოცანა, რომელიც გაანალიზდება კლასის ძალებით:

**თეთრი ხნული** – ნიგნის ფურცელი, **შავი თესლი** – ასობი; **მთესველი** – ამ შემთხვევაში მოსწავლე, რომელიც კითხვას სწავლობს და ცოდნას ეზიარება (**პასუხი: ნიგნი**).

### **აქტივობა 3 – ლექსის ანალიზი:**

მოსწავლეები უკვირდებიან მხატვრულ შედარებას (*ტერმინის მიწოდების გარეშე*):

„როგორც მერცხლის კობტა ბუდე  
შვენის სახლებს აივნიანს,  
ისე შვენის ნიგნის ფურცელს  
„აი ია“, „აი ია“.

გაანალიზდება, რატომ არის „აი ია“ მერცხლის ბუდესთან შედარებული, რატომ ჰგონია პოეტს, რომ ნიგნს ეს ფრაზა ამშვენებს, ეთანხმებიან თუ არა ამ შედარებას...

აქვე ცდილობენ მოძებნონ ლექსში ის ადგილები, რომლებიც სავარჯიშოშია მითითებული. ეს დავალებები შეიძლება გამოვიყენოთ ჯგუფური მუშაობისათვის.

### **აქტივობა 4 – ენობრივ მასალაზე დაკვირვება:**

ეს სავარჯიშო შეიძლება შესრულდეს გუნდურად. მუშაობაში ჩაერთვება მთელი კლასი. დავალება ითვალისწინებს ტექსტიდან ოთხმარცვლიანი სიტყვების დასახელებას. ასეთი სიტყვა ცხრაა. ესენია: **საქართველოს, უკვდავება, დედასავით, შევიყვარეთ, მომავალი, თაობები, აივლიან, ჩაივლიან, აივნიანს**. სიტყვები ჩამოინერება დაფაზე, გაირკვევა, რატომ არის ისინი ოთხმარცვლიანი (*თითოეულ მათგანში ოთხი ხმოვანია*). ასევე ანალიზებენ სიტყვათა წყვილს – აივლიან, ჩაივლიან. მასწავლებელი ავალებს შეადგინონ მათი გამოყენებით წინადადებები; აკვირდებიან ჯერ მათ ბგერით შედგენილობას – ისინი ერთნაირი ბგერითი შედგენილობისაა, განსხვავებას ქმნის მხოლოდ **ჩ** ასო-ბგერა; შემდეგ – მნიშვნელობას (*ორივე შემთხვევაში სიტყვა უკავშირდება სიარულს, სვლას, ოღონდ სხვადასხვა მიმართულებით*).

ტექსტში გამოყენებული სიტყვებით ივსება კროსვორდი (**პასუხები: ბუდე, მზე, უკვდავება, აი, შვენის, განა, ია**).

### **აქტივობა 5 – წერიტი დავალება:**

მოსწავლეებმა ლექსიდან ის ადგილი უნდა ამოწერონ, რომელიც ყველაზე მეტად მოეწონათ (*გამოკრებითი გადაწერა*), ოღონდ ზეპირად აუცილებლად უნდა დაასაბუთონ თავისი მოსაზრება.


### მიზნები

- მეტყველების განვითარება – გაბმულ მეტყველებაზე მუშაობა.
- აზროვნების განვითარება – საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და დასაბუთება.
- სწორი და შეგნებული კითხვის ჩვევის დაუფლება.
- სწორი წერის ჩვევის დაუფლება

### აქტივობა I – კითხვისათვის მზადება:

მასწავლებელი კლასს უჩვენებს ი. გოგებაშვილის პორტრეტს და სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, რა იციან მის შესახებ, მისი რომელი ნაწარმოები მოუსმენიათ. დაფაზე იწერება **იაკობ გოგებაშვილი**, მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ ყველა ფრაზა, რასაც ეს სახელი ახსენებთ: საბავშვო მწერალი, „დედაენის“ ავტორი, პედაგოგი...

აქვე მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას „ბრძენკაცი“ და კლასს უხსნის მის მნიშვნელობას – ძალიან ჭკვიანი ადამიანი, ვის აზრსაც აფასებენ, ისმენენ და ცხოვრებაშიც იყენებენ. მოსწავლეებს ეუბნება, რომ ი. გოგებაშვილის ყველა მოთხრობასთან არის აღნიშვნა „ბრძენკაცის დარიგება“.



### აქტივობა 2 – ტექსტის კითხვა:

მასწავლებელი გამომეტყველებით კითხულობს მოთხრობას „ერთი და ორი“. მასწავლებლის შემდეგ კითხულობენ მოსწავლეები; კითხულობენ ტექსტს მთლიანად, ნაწილ-ნაწილ; ინდივიდუალურად, გუნდურად, წყვილებში... ყურადღება მახვილდება სწორი კითხვის წესების დაცვაზე, სიტყვათა მართლწარმოთქმაზე... ტექსტში არის როგორც თხრობითი, ასევე კითხვითი წინადადებები, რომლებსაც კითხულობენ სათანადო ინტონაციით (მასწავლებლის ნიმუშის მიხედვით).

### აქტივობა 3 – ტექსტის ანალიზი:


მოსწავლეები მასწავლებლის მითითებით ცალ-ცალკე კითხულობენ მწერლის თითოეულ დარიგებას, აანალიზებენ მათ, გამოთქვამენ და ასაბუთებენ საკუთარ მოსაზრებას – რამდენად მართებულად მიაჩნიათ ეს დარიგება, იხსენებენ სათანადო შემთხვევებს ცხოვრებიდან თუ მოსმენილი ლიტერატურული მასალიდან. აქ მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს ჯგუფური მუშაობაც. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გადმოაცემინოს ტექსტი თხრობით 1-2 მოსწავლეს.

აქვე ყურადღება მახვილდება ტერმინ „დედაენაზე,“ რომელიც მშობლიური ენის სინონი-  
იმია, გაირკვევა ამ სიტყვის მნიშვნელობა და აზრობრივი დატვირთვა.

**აქტივობა 4 – ენობრივ მასალაზე დაკვირვება:**

მოსწავლეებმა უნდა მოძებნონ ტექსტში ერთმარცვლიანი სიტყვები (ასეთი სულ 6-ია) და თანმიმდევრობით ჩამოწერონ დაფაზე: *შენ, გაქვს, კი, რომ, და, თქვა*. უნდა განსაზღვ-  
რონ, რატომ არის აქ ერთი მარცვალი (იმიტომ, რომ ერთი ხმოვანია).

აქვე მოცემულია დავალება – რა და რა მოქმედებებს ასრულებს ადამიანი? (მოქმე-  
დების აღმნიშვნელი სიტყვები ტექსტიდან უნდა ამოწერონ):



**აქტივობა 5. წერითი დავალება** – ამოწერონ მწერლის ერთ-ერთი დარიგება (გამოკრე-  
ბითი გადაწერა) და ზეპირად დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრება.

### **მიზნები**

- სწორი და შეგნებული კითხვის ჩვევის დაუფლება.
- მეტყველების განვითარება:
  - ა) ლექსიკური მარაგის გამდიდრება; ბ) გაბმულ მეტყველებაზე მუშაობა.
- კრიტიკული აზროვნების განვითარება: საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და დასაბუთება.
- სწორი წერის ჩვევის ფორმირება.

### **აქტივობა 1 – კითხვისათვის მზადება:**

მასწავლებელი სადისკუსიოდ კლასს სთავაზობს ორ საკითხს: 1) რა არის ადამიანში მთავარი: გარეგნობა თუ ხასიათი? 2) ცვლის თუ არა ჩაცმულობა ადამიანს? კლასს მოსაფიქრებლად ეძლევა 3 წუთი. ამის შემდეგ მასწავლებელი ყველა მსურველს აძლევს აზრის გამოთქმის საშუალებას, გამოთქვამს თითოეულ განსხვავებულ მოსაზრებას, შემდეგ კლასთან ერთად აჯამებს მათ.

### **აქტივობა 2 – ტექსტის კითხვა:**

ტექსტის კითხვამდე აიხსნება სიტყვა „*მუქთამჭამელა*“ – ზარმაცი, უქნარა ადამიანი, რომელიც სხვისი შრომით ცხოვრობს.

ტექსტს მასწავლებელი თავიდან ბოლომდე კითხულობს გამომეტყველებით, აკითხებს კითხვაში განაფულ მოსწავლესაც; შემდეგ რამდენიმე მოსწავლეს აკითხებს ნაწილ-ნაწილ და იწყება ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ანალიზი, აიხსნება სიტყვები და იდიომატური გამოთქმები:

**აბურად ჰყავდა აგდებული** – დასცინოდა.

**მასხრად აიგდო** – სასაცილოდ აიგდო, დასცინა.

**ჩოხა** – მამაკაცის ქართული, ეროვნული სამოსი.

**გაისარჯე** – იშრომე, იმუშავე.

**პატივი დამედება** – პატივისცემით მომექცევიან, დამაფასებენ.

აქვე მასწავლებელი კლასს აძლევს დავალებას – ამ ახალი სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენებით შეადგინონ წინადადებები.

მოსწავლეები ვარჯიშობენ კითხვაში, გამოიყენება ინდივიდუალური და გუნდური კითხვა, გაგრძელებით კითხვა, გამოკრებით კითხვა.

კითხულობენ და აანალიზებენ ტექსტის ბოლოს მოცემულ ანდაზას, აკავშირებენ მას წაკითხულთან, იხსენებენ სხვა მსგავს ანდაზებსაც...

აქვე გაანალიზდება ფერადი ილუსტრაცია. მოსწავლეები აკვირდებიან მასზე გამოსახულ პერსონაჟებს, ცდილობენ გამოხატონ მხატვრის დამოკიდებულება, შეაქვთ სათანადო კორექტივები.

### **აქტივობა 3 – ტექსტის ანალიზი:**

მოსწავლეები კითხვებზე პასუხით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს, ამავე დროს, აანალიზებენ მას და გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას ნაწარმოების პერსონაჟისადმი, აქ შეიძლება მასწავლებელმა გამოიყენოს ამგვარი თანმიმდევრობა:

**აღწერეთ** – როგორია მუქთამჭამელა ხასიათით, ჩაცმულობით?





**გაკვეთილის მასალა: ი. გომეზაშვილის „მენავეები“;  
წინადადება. სიტყვა**

**მიზნები**

- ხმამალალი და სწორი კითხვის ჩვევის დაუფლება.
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება;
- გაბმულ მეტყველებაზე მუშაობა.
- კრიტიკული აზროვნების განვითარება.
- სწორი წერის ჩვევის დაუფლება.

**აქტივობა 1 – კითხვისათვის მზადება:**

მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვებს – „მენავე“, „ნავი“, „ქარიშხალი“ და კლასს სთავაზობს, შეადგინოს პატარა მოთხრობა ამ სიტყვების გამოყენებით. აქ შეიძლება კლასი დაიყოს ჯგუფებად და თითოეულმა ჯგუფმა წარმოადგინოს საკუთარი ვარიანტი.

სახელმძღვანელოში გვერდზე მოცემულია სურათი, რომელსაც იყენებენ ზეპირი თხზულების შედგენისას. ამის გადმოცემისას ისინი არიან აბსოლუტურად თავისუფალნი, მასწავლებელი არ ზღუდავს მათ, აძლევს სრულ გასაქანს მათ ფანტაზიას.

**აქტივობა 2 – ტექსტის კითხვა:**

ტექსტს ჯერ მასწავლებელი კითხულობს გამომეტყველებით, შემდეგ კი კითხვაში განაფული რამდენიმე მოსწავლე. აიხსნება უცნობი სიტყვები:

**მენავე** – ნავის წამყვანი.

**წიჩაბი** – 1. ხისგან გამოთლილი სამეურნეო იარაღი მარცვლეულის მოსახვეტად, 2. (აქ) – წყალში მოსასმელი ბრტყელბოლოიანი ფართო კეტი (*ხისა*), რომლითაც ნავი მიჰყავთ (*უჩვენებს სურათზე*).

**ქარიშხალი** – ძლიერი ქარი.

**ვედრებით** – ეხვეწებით, ემუდარებით, სთხოვთ.

ვარჯიშობენ კითხვაში. გამოიყენება კითხვის ყველა სახე (*ინდივიდუალური, გუნდური, გაგრძელებით, გამოკრებით*). ყურადღება მახვილდება მართლწარმოთქმაზე, სასვენი ნიშნების ხმარების შემთხვევებზე, სწორი კითხვის ჩვევებზე...

აქვე მასწავლებელი კლასს აძლევს დავალებას – ამ ახალი სიტყვების გამოყენებით შეადგინონ წინადადებები.

ასევე კითხულობენ და აანალიზებენ ტექსტის ბოლოს მოცემულ ანდაზას: „*ცუდად ჯდომას (უსაქმურად ჯდომას) ცოტა შრომა სჯობიაო*“. აკავშირებენ მას წაკითხულთან, იხსენებენ ანალოგიურ მაგალითებს ლიტერატურული მასალიდან, კინოფილმებიდან, ცხოვრებიდან...

**აქტივობა 3 – ტექსტის ანალიზი:**

მოსწავლეები აანალიზებენ წაკითხულს, კითხვებზე პასუხებით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს.

1. რა შეემთხვათ მენავეებს?
2. რა ურჩიეს მენავეებს?
3. როგორ ფიქრობთ, სწორია ეს რჩევა?

გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას ნაწარმოების პერსონაჟებისადმი, აფასებენ

და აანალიზებენ მათ საქციელს, ასაბუთებენ თავის მოსაზრებას... აქვე ვარჯიშობენ ტექსტის შინაარსის თხრობით გადმოცემაზე.

#### **აქტივობა 4 – გააკეთეთ დასკვნა:**

მასწავლებელი კლასს სთავაზობს ამ ნაწარმოების გაგრძელებას რამდენიმე ვარიანტად. თუ მოსწავლეებს არ აკმაყოფილებთ სახელმძღვანელოში მოცემული ვარიანტები, შეუძლიათ განავრცონ იგი ან შემოგვთავაზონ საკუთარი აზრი (ოღონდ აუცილებლად დასაბუთებული). აქ შეიძლება გამოვიყენოთ ჯგუფური მუშაობა.

#### **აქტივობა 5 – ენობრივ მასალაზე მუშაობა:**

მოსწავლეებს ევალებათ ტექსტში მოძებნონ შვიდსიტყვიანი წინადადება: „მენავებს შიგ შუა მდინარეში დიდი ქარიშხალი ამოუვარდათ“. ეს წინადადება იწერება დაფაზე. შემდეგ მოსწავლეებს ევალებათ ეს წინადადება რიგრიგობით გადააკეთონ 6-, 5-, 4-სიტყვიანი წინადადებად, აკვირდებიან, შესაძლებელია თუ არა აქ სიტყვათა შემცირება? ყოველი წინადადება იწერება დაფაზე. მიზანია, მოსწავლეები დავაკვიროთ, რომ წინადადებაში სიტყვათა რაოდენობის შემცირებასთან ერთად აზრს სიცხადე აკლდება; ამასთანავე, წინადადებაში არსებობს სიტყვათა გარკვეული მინიმუმი, რომელიც აუცილებელია დასრულებული აზრის გამოსახატავად.

აქვე დაფაზე იწერება წინადადებები: „მენავემ ნიჩაბი მოუსვა“ და „ნიჩაბი და თოხი სამეურნეო იარაღებია“. აკვირდებიან თითოეულ წინადადებაში სიტყვა „ნიჩაბის“ მნიშვნელობას და აკეთებენ სათანადო დასკვნას – პირველ წინადადებაში „ნიჩაბი“ ნავთან არის დაკავშირებული, მეორე წინადადებაში კი სამეურნეო იარაღია. გამოაქვთ საბოლოო დასკვნა: სიტყვას შეიძლება სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდეს.

#### **აქტივობა 6 – „სიტყვის სალარო“:**

წიგნში მოცემულია სიტყვაგამოტოვებული წინადადებები, მოსწავლეებმა უნდა შეძლონ გამოტოვებული სიტყვების აღდგენა, რომლებიც შესწავლილ ტექსტში გამუქებულია. პირველი წიგნში მოცემულია წიგნში. დანარჩენ წინადადებებზე მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში:

*„მენავებმა ნიჩაბები მოუსვეს, თან ღმერთს ევედრებოდნენ გადარჩენას“.*

#### **აქტივობა 7 – წერიტი დავალება – „სწორი რჩევა“. (გამოკრებითი გადაწერა).**

#### **ანგანისუამდგომ პერიოდში მოსალოდნელი შედეგები:**

1. მოსწავლეს შეუძლია თხრობითი ხასიათის ილუსტრირებული ტექსტის (ისტორიული ამბავი, ზღაპარი, მოთხრობა, ლეგენდა) მოსმენა და გაგება.
2. მოსწავლეს შეუძლია გადმოსცეს მარტივი ინფორმაცია მისთვის ნაცნობ თემებზე.
3. მოსწავლეს შეუძლია აქტიური ლექსიკისა და ძირითადი ენობრივი ფორმების მეტყველებაში გამოყენება.
4. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი კოდის გაშიფვრა.
5. მოსწავლეს შეუძლია პრაგმატული ხასიათის მარტივი ტექსტის წაკითხვა და გაგება.
6. მოსწავლეს შეუძლია მარტივი წინადადებების აგება და დაწერა ნაცნობ თემებზე.

## II საფეხური

II საფეხურის წიგნი „ქართული ენა და ლიტერატურა“ შედგება ორი ნაწილისაგან: I. „საკითხავი მასალა“ და II. „ქართული ენის სამყაროში“. ვინაიდან წიგნი გათვლილია 8-დან 12 წლამდე მოსწავლეთათვის, ანუ ნორჩი მკითხველის ასაკი (და ენობრივი კომპეტენციებიც) საკმაოდ დიფერენცირებულია, შესაძლებლად ჩავთვალეთ მისი ორად გაყოფა ა) 8-დან 10 წლამდე ასაკის მოსწავლეთათვის, ბ) 10-დან 12-მდე ასაკის მოსწავლეთათვის.

**I. საკითხავი მასალა** – საკითხავ ტექსტებად ძირითადად წარმოდგენილია როგორც თანამედროვე ქართველი მწერლების (ნოდარ დუმბაძე, ანა კალანდაძე, მუხრან მაჭავარიანი, რევაზ ინანიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, ერლომ ახვლედიანი...), ისე – კლასიკოსების (სულხან-საბა ორბელიანი, იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი...) შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები. ვეცადეთ აგრეთვე კუთვნილი ადგილი დაგვეთმო ზეპირსიტყვიერებისთვისაც (ხალხური ლექსები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები). გარდა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ნიმუშებისა, წარმოდგენილია ე. წ. „აღწერითი“ ხასიათის ტექსტებიც, რომელთა მიზანი გახლავთ არა მხოლოდ კითხვის სტრატეგიების დაუფლება, არამედ მარტივი საგანმანათლებლო ინფორმაციის მიწოდება ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესახებ, რაც, ჩვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ტიპის სკოლების მოსწავლეთათვის.

საკითხავი ტექსტის წინ ზოგჯერ შეგხვდებათ რუბრიკა „კითხვისათვის მზადება“. მისი მიზანია მკითხველის პროვოცირება და მომზადება ტექსტის კითხვისათვის. ხშირ შემთხვევაში ეს არის ამავე ტექსტთან განთავსებულ ფერად ილუსტრაციებზე დაკვირვება და აღწერა, ტექსტთან დაკავშირებული ანდაზის მიხედვით წინასწარ ზეპირი თხზულების შედგენა, ზეპირი ტექსტის აგება ტექსტში მოცემული საყრდენი სიტყვების გამოყენებით... თითოეული ტექსტის ბოლოს მოცემულია „სიტყვის სალარო“, რომლის დანიშნულებაც საკითხავ მასალაში მოცემული გაუგებარი სიტყვებისა და ფრაზების გაგებაში დაესმაროს მკითხველს. იგი აღნიშნულია სათანადო სიმ-

**სიტყვის სალარო:**

ტექსტის კითხვა-დამუშავებისათვის წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის კითხვები: **გაგებაზე, გააზრებასა და შეფასებაზე** ორიენტირებული. გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ასევე რუბრიკას: „შეარჩიეთ პასუხი და დაასაბუთეთ თქვენი აზრი“. შეგახსენებთ, რომ ეს არ გახლავთ დახურული ტიპის ტესტური დავალება ერთადერთი სწორი პასუხით. მისი მიზანია, მოსწავლეს მისცეს არჩევანი – ჩვენ მიერ შეთავაზებული პასუხებიდან აარჩიოს ერთ-ერთი, რომელიც მისთვის მისაღებია, ოღონდ ისე, რომ აუცილებლად დაასაბუთოს თავისი აზრი. ამ ტიპის სავარჯიშოს მიზანია, ასწავლოს მოსწავლეს – მკითხველს – საკუთარი აზრის დასაბუთება, ალტერნატიული აზრის მოსმენა, მომზადოს მომავალში დისკუსიისათვის, განუვითაროს ფანტაზია. თუ სახელმძღვანელოში მოცემული ალტერნატიული პასუხებიდან მოსწავლეს არ აკმაყოფილებს არც ერთი, მას შეუძლია საკუთარი ვარიანტის შემოთავაზებაც. არ არის აუცილებელი ტექსტის გააზრებისას მზამზარეული რეცეპტების მიცემა.

ყოველი ტექსტის ბოლოს მითითებულია საწერი დავალება, რომელიც მასწავლებელს შეუძლია შეცვალოს თავისი შეხედულებისამებრ.

საკითხავი მასალის I მონაკვეთში (8-დან 10 წლამდე მკითხველისათვის) ცალკეა თითოეულ ტექსტთან წარმოდგენილი რუბრიკა „ენობრივ მასალაზე დაკვირვება“. ამ ეტაპზე არ მიგვჩნია საჭიროდ განმარტებებისა და წესების დაზეპირება, რუბრიკის მიზანია დააკვიროს მოსწავლე ტექსტის გამოსახველობით საშუალებებზე, ქართული ენის ძირითად გრამა-

ტიკულ კატეგორიებზე, დააუფლოს იგი ელემენტარული სტილისტიკის, ლექსიკოლოგიის, პუნქტუაციის, მართლწერის საკითხებს პრაქტიკულად, ტერმინების მოწოდების გარეშე; გამოიშუშავოს ლინგვისტური ალლო, რომელიც მას მომავალში დაეხმარება ქართული ენის ბუნების შეცნობასა და დაუფლებაში. ენობრივი მასალის დამუშავება ხდება საკითხავ ტექსტებთან მჭიდრო კავშირში.

გამოცდილმა პედაგოგებმა კარგად იციან, რომ კითხვის შესწავლის საწყის ეტაპზე საჭიროა საკითხავი ტექსტების ხშირი მონაცვლეობა, რათა თავიდან ავიცილოთ ე. წ. „ზეპირი კითხვა“ (ცნობილია, რომ ასაკის მოსწავლე უფრო ადვილად ახერხებს ტექსტის დაზეპირებას, ვიდრე მის წაკითხვას), და ხელი შევუწყოს კითხვის ტექნიკის დაუფლებას. სწორედ ამან განაპირობა II საფეხურის სახელმძღვანელოში ტექსტების სიმრავლე. ისინი გათვლილია არა მხოლოდ საგაკვეთილო, არამედ დამოუკიდებელი კითხვისათვის. რომელი ტექსტი უნდა დამუშავდეს კლასში და რომელი მიეცეს შინ დამოუკიდებელი კითხვისათვის, ეს თავად მასწავლებლის გადასაწყვეტია.

და კიდევ ერთი — არსად არ ვუთითებთ თითოეული ტექსტისათვის საჭირო საათების რაოდენობას. მიგვაჩნია, რომ აქ არჩევანი პედაგოგს ეკუთვნის.

**II. „ქართული ენის საყარო“** – განკუთვნილია 10-დან 12 წლამდე მოსწავლეთათვის. აქ ვეცადეთ გარკვეული სისტემით დაგველაგებინა ქართული ენის ძირითადი საკითხები ფონეტიკიდან, ლექსიკოგრაფია-ლექსიკოლოგიიდან, მორფოლოგიიდან, სინტაქსიდან. მართლწერისა და პუნქტუაციის საკითხები მოცემულია მორფოლოგიასა და სინტაქსთან მჭიდრო კავშირში. მისი მიზანია არა ცალკეული გრამატიკული და ენობრივი დეფინიციების დაზეპირება, არამედ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და მართლწერისა და მართლმეტყველების ჩვევების დაუფლება. სწორედ ამავ ე მიზანს ემსახურება რუბრიკაც „ერთად ავაგოთ ტექსტი“.

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ იმ გარემოებას, რომ ამ საკითხების დამუშავება უნდა მოხდეს საკითხავ ტექსტებთან მჭიდრო კავშირში, ლიტერატურული და ენობრივი მასალის ინტეგრაციით. ამავ წიგნში შევეცდებით, წარმოვადგინოთ ამგვარი ინტეგრაციის ნიმუშები.



## სანიშნოთა გაკვეთილების სცენარი II საფეხურისათვის

### გაკვეთილის მასალა: თამარ მეფე (იაკობ გოგებაშვილის მიხედვით); ზედსართავი სახელი

#### მიზნები:

- ტექსტის კითხვა და ანალიზი
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- თამარ მეფის შესახებ მარტივი საგანმანათლებლო ინფორმაციის მიწოდება
- სწორი კითხვის ჩვევის დაუფლება
- ტექსტის დაყოფა ნაწილებად და გეგმის შედგენა
- ლოგიკური თანმიმდევრობით თხრობა
- ზედსართავი სახელის რაობის გაცნობა
- სინონიმებზე დაკვირვება (ტერმინის გარეშე)

#### აქტივობა 1 – პროვოცირება:

მასწავლებელი მოსწავლეებს აავლებს, გაიხსენონ ცნობილი ქართველი მეფეები, აჯამებს და ავსებს იმ ინფორმაციას, რაც მათ ამ საკითხის შესახებ იციან. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება თამარ მეფეზე.

#### აქტივობა 2 – ტექსტის კითხვა და ანალიზი:

ტექსტის კითხვას იწყებს მასწავლებელი და მას მოსწავლეები აგრძელებენ. ნაწილ-ნაწილ კითხვის პროცესში აიხსნება გაუგებარი ლექსიკური ერთეულები, რისთვისაც მოსწავლეები აქტიურად იყენებენ „სიტყვის სალაროს“. გამოიყენება კითხვის სხვადასხვა სახე: ინდივიდუალური, გამოკრებითი, გაგრძელებითი...

მასწავლებელი დასვამს ფაქტებზე ორიენტირებულ კითხვებს, რომელთა პასუხები მოსწავლეებს შეუძლიათ წიგნში ამოიკითხონ:

- როდის მეფობდა თამარი?
- ვისი შთამომავალი იყო იგი?
- მშობლებისაგან რა თვისებები გამოჰყვა მას?
- რამდენი წლის გამეფდა იგი?
- როგორ შეხვდა ხალხი მის გამეფებას?
- როგორ აღწერს მწერალი თამარისდროინდელ საქართველოს?
- რა წვლილი შეიტანა თამარმა საქართველოს გაძლიერების საქმეში?
- რის გამო შეიყვარა იგი ქართველმა ხალხმა?
- რით გამოხატა ხალხმა თავისი სიყვარული და პატივისცემა მის მიმართ?..

#### აქტივობა 3 – ტექსტის გააზრება:

ტექსტის გააზრებისათვის შეიძლება დავსვათ კითხვები:

- რა ანდაზას იყენებს მწერალი ამ ტექსტში? („დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამოიხატე“).

- როგორ ფიქრობთ, რატომ იყენებს ამ ანდაზას აქ მწერალი? რას უსვამს იგი ამით ხაზს?

- თამარის რა თვისებები ჩანს ტექსტში?

- „თამარის გამეფებას ხალხი სიხარულით შეხვდა“, – წერია ტექსტში. როგორ ფიქრობთ, რატომ უხაროდა ხალხს მისი გამეფება?
  - რატომ ფიქრობდა გარეშე მტერი, რომ თამარს ადვილად მოერეოდა?
  - რა შეიტყუეთ ამ ტექსტიდან თამარის შესახებ?..
- აქ შეიძლება გამოვიყენოთ სქემა:

რა ვიცოდი თამარის შესახებ	რა გავიგე	რის გაგება მაინტერესებს

**აქტივობა 4: ტექსტის დაყოფა ნაწილებად და დასათაურება**– თუ მოსწავლეთა კომპეტენცია ამის შესაძლებლობას მოგვცემს, ამ ეტაპზე უკვე შეიძლება გამოვიყენოთ ჩუმი კითხვა-ც. მოსწავლეებს ევალებათ დაყონ ტექსტი ცალკეულ მონაკვეთებად და შეურჩიონ მათ სათაურები. იგი დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

1. ვინ იყვნენ თამარის მშობლები
2. როგორ დააწყნარა თამარმა შინაური მტრები
3. როგორ გაიმარჯვა თამარმა გარეშე მტერზე
4. როგორ ზრუნავდა თამარი ქრისტიანობის გაძლიერებისათვის
5. როგორ გაძლიერდა საქართველო თამარის მეფობისას...

**აქტივობა 5 – ტექსტის შინაარსის გადმოცემა:**

მოსწავლეები ჯერ ნაწილ-ნაწილ საუბრობენ გეგმის თითოეული ნაწილის შესახებ, შემდეგ კი გაბმული თხრობით გადმოსცემენ მთლიანი ტექსტის შინაარსს. თხრობისას ყურადღება ექცევა ლოგიკური თანმიმდევრობას, ავტორისეული ლექსიკის გამოყენებას., ფრაზისა და წინადადების სწორად აგებას, სიტყვების მართლწარმოთქმას.

**აქტივობა 6. ენობრივ მასალაზე დაკვირვება:**

მოსწავლეებს ვაკვირვებთ სახელმძღვანელოში მოცემულ წინადადებაზე: „თამარი იყო ბრძენი, ძლიერი, სამართლიანი მეფე“.

- რომელია ამ წინადადებაში არსებითი სახელები? რა კითხვა დაესმით მათ?
- დააკვირდით, ხაზგასმული სიტყვები (ბრძენი, ძლიერი, სამართლიანი) რომელ არსებით სახელს დაერთვიან? რას აღნიშნავენ ისინი? რა კითხვა დაესმით?

ეძლევა დასკვნა: **სიტყვა, რომელიც დაერთვის არსებით სახელს, აღნიშნავს, როგორი არის ეს არსებითი სახელი და უპასუხებს კითხვაზე როგორი? ზედსართავი სახელია.**

- მოძებნეთ ტექსტში სხვა ზედსართავი სახელებიც.

სრულდება სახელმძღვანელოში მოცემული დავალება: ზედსართავი სახელებისათვის შეარჩიეთ შინაარსით მსგავსი სიტყვები (პასუხები: სათნო – კეთილი, ღირსეული – პატივისცემი, სასტიკი – დაუნდობელი, სახელგანთქმული – ცნობილი, ურიცხვი – უამრავი, თავგანწირული – თავდადებული).

**აქტივობა 7. წერა** – შესწავლილი მოთხრობის მიხედვით მოსწავლეებმა უნდა დაწერონ „ავჯანყებულების დაშოშმინება“.

**შედეგების კოდი:**

1. მოსწავლეს შეუძლია ლიტერატურული ტექსტების მოსმენა, გაგება და მათი შინაარსის გადმოცემა.
2. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ტექსტების წაკითხვა და ადეკვატურად გაგება-გაანალიზება.
3. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა და აზრის გასაგებად ჩამოყალიბება.

**გაკვეთილის მასალა:**  
**იაკობ გოგებაშვილი – „თავდადებული მღვდელი თევდორე“,**

**მიზნები:**

- აღწერითი ტექსტის კითხვა და ანალიზი
- კითხვისა და წერის მარტივი სტრატეგიების დაუფლება
- გაბმული მეტყველების უნარ-ჩვევათა ფორმირება
- მარტივი საინფორმაციო ტექსტის აგება
- დიალოგი ისტორიულ გმირთან
- საკუთარი აზრის ჩამოყალიბება და დასაბუთება, კრიტიკული აზროვნების ფორმირება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება

**აქტივობა 1 – კითხვისათვის მზადება – პროვოცირება:**

მასწავლებელი კლასს ავალებს გაიხსენონ, რა სმენიათ ქვეყნისათვის თავდადებული გმირების შესახებ. აქვე მასწავლებელი კლასს მოკლედ ესაუბრება თევდორე მღვდლის შესახებ, მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით შეიძლება ხმამაღლა წაიკითხოს ის ნაწყვეტი ტექსტიდან, რომელსაც უფრო დამაინტრიგებლად მიიჩნევს.

**დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:**

**ლუარსაბ II (1592-1622)** – ქართლის მეფე 1606-1615 წლებში, 14 წლისა მეფედ დაამტკიცა თბილისში მყოფმა შაჰ-აბას I-მა უეცრად გარდაცვლილი გიორგი X-ის ნაცვლად. მას ირან-ოსმალეთის ომში ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლა ევალებოდა. თავი გამოიჩინა ტაშისკარის ბრძოლაში (1609). 1611 წელს ცოლად შეირთო გიორგი სააკაძის და, რომელსაც თავადთა მოთხოვნით მალევე გაეყარა. ამას მოჰყვა შეთქმულება სააკაძის წინააღმდეგ. ლუარსაბ II-ს ცოლი აღარ შეურთავს, თუმცა ქართლის სამეფო ტახტს პირდაპირი მემკვიდრე აღარ ჰყავდა. 1612 წელს მისი და ხორეშანი ცოლად შეირთო კახეთის მეფემ თეიმურაზ I-მა. ამით ქართლსა და კახეთს შორის შეიკრა კავშირი, რომლის მიზანიც იყო ირანის მოსალოდნელი აგრესიისაგან გათავისუფლება. 1614 წელს იგი იმერეთში გადავიდა და სხვა ქართველ მეფეებთან ერთად ოსმალეთს სთხოვა დახმარება ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1614 წელს თავისი ფეხით ეახლა შაჰ-აბას I-ს, რათა ქართლი მისი თავდასხმისაგან ეხსნა. შაჰმა იგი ირანში წაიყვანა და გამაჰმადიანება მოსთხოვა, რაზედაც მან სასტიკი უარი განაცხადა. ამის გამო ის ციხეში გამოამწყვდიეს, სადაც საბლით მოაშთვეს. ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

**გიორგი სააკაძე (1570-1629)** – დიდი მოურავი, საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლი. მისი წინაპრები სამეფო აზნაურები იყვნენ. იმ დროისათვის შესაფერი განათლება მიიღო, გამოირჩეოდა სამხედრო საქმის დიდი ცოდნით, იყო სიმონ I-ისა და გიორგი X-ის თანამებრძოლი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მის სახელმწიფოებრივ ნიჭს განსაკუთრებით დიდი ასპარეზი მიეცა ლუარსაბ II-ის მეფობისას. 1608 წლიდან იყო თბილისის, ცხინვალისა და დვალეთის მოურავი. მის მთავარ მიზანს შეადგენდა შინაფეოდალური ბრძოლების აღაგმვა და მეფის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება, რაც მან ერთგვარად შეძლო კიდევ. ამანაც განაპირობა ქართლის გამარჯვება ტაშისკარის ბრძოლაში. უპირისპირდებოდა თავადთა მრავალრიცხოვან ჯგუფს. მისმა მოწინააღმდეგეებმა მოახერხეს მეფის მიმხრობა. თავს მან სპარსეთში გაქცევით უშველა (1612). 1619 წელს შაჰ-

აბასმა იგი დანიშნა ქართლის ხანის სიმონ II-ის ვეჯილად (რწმუნებულად). საქართველოში ჩამოსვლისთანავე იგი შეუდგა ირანის წინააღმდეგ აჯანყებისათვის მზადებას. ამ მიზნით იგი შეურიგდა თავის ყოფილ მტრებს, დაუმოყვრდა ოსმალთა დიდმოხელეს, სამცხის ათაბაგთა ჩამომავალს ფარად-ფაშას. შაჰ-აბასმა 1625 წლის შემოდგომაზე დიდი არმია გამოგზავნა საქართველოში ყორჩიხა-ხანის სარდლობით. მისი მიზანი იყო კახელების მთლიანი გაჟლეტა და ქართლელთა ირანში გადასახლება. აჯანყებულებმა სააკაძის მეთაურობით თითქმის მთლიანად განყვიტეს მტრის მთავარი ძალები სოფ. მარტყოფთან, ხოლო ქართლ-კახეთის ტახტის მეფედ მოიწვიეს თეიმურაზ I. ამას მალე სააკაძისა და მეფე თეიმურაზ I-ის დაპირისპირება მოჰყვა, რაც ბაზალეთის ბრძოლით (1626) დამთავრდა. თეიმურაზის დამარცხების შემთხვევაში სააკაძეს განზრახული ჰქონდა იმერეთის მეფის მემკვიდრის – ალექსანდრეს – გამეფება, რასაც მოჰყვებოდა სამი სამეფოს – იმერეთის, ქართლისა და კახეთის – გაერთიანება. ამ ბრძოლაში სააკაძე დამარცხდა და იძულებული იყო კვლავ გადახვეწილიყო, ამჯერად ოსმალეთში. მისი მიზანი იყო ოსმალთა დახმარებით სპარსელთა დამარცხება. მაგრამ ვერ მიიღო მისგან სათანადო დახმარება და კვლავ საქართველოში აპირებდა დაბრუნებას. დიდი ვეზირის ხოსროვ ფაშას ბრძანებით იგი და მისი ძე ავთანდილი 40 მხლებელთან ერთად შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

## **აქტივობა 2 – ტექსტის კითხვა და ანალიზი:**

ტექსტს მოსწავლეები კითხულობენ ნაწილ-ნაწილ, გზადაგზა ხსნიან უცნობ სიტყვებსა და გამოთქმებს, გარდა „სიტყვათა სალაროში“ ახსნილი სიტყვებისა, მოსწავლეთათვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს შემდეგი ლექსიკური ერთეულები:

**სპარსეთი** — დღევანდელი ირანი

**ოსმალეთი** – დღევანდელი თურქეთი

**თათრები** – საერთო სახელია მუსლიმანი თავდამსხმელებისა, ამჯერად „თათრებში“ ი. გოგებაშვილი ოსმალებს (თურქებს) გულისხმობს

**გარდუვალი** – უეჭველი, აუცილებელი

**ჯოჯოხეთის ცეცხლში** – აქ: დიდ განსაცდელში, დიდ გასაჭირში

**სიხარული შეუდგათ** – ძალიან გაუხარდათ

**თადარიგს შეუდგა** – მზადებას შეუდგა

ტექსტის ანალიზისათვის დაისმის ფაქტებზე ორიენტირებული კითხვები:

– რომელ საუკუნეში მოხდა ტექსტში აღწერილი ამბავი?

– საქართველოს რომელი კუთხეა მასში აღწერილი? რა მინიშნებებია ამაზე ტექსტში?

(გეოგრაფიული სახელები – მანგლისი, თრიალეთი, ცხირეთი, კველთა).

– რატომ არ ელოდნენ ქართველები მტრის გამოჩენას?

– რა იყო მტრის მიზანი?

– როგორი იყო ცხირეთისაკენ მიმავალი გზა?

– სად შეიპყრეს თევდორე?

– რა არჩევანის წინაშე დადგა იგი?

– როგორ იძია მოტყუებულმა მტერმა თევდორეზე შური?

– რა შედეგი გამოიღო თევდორეს თავდადება?

– რა მინაწერი აქვს ტექსტს ბოლოში? რის შესახებ საუბრობს აქ მწერალი? რატომ

აღარ მიიჩნევს მწერალი თურქებსა და სპარსელებს მტრებად? რომელ მტრებზე საუბრობს იგი? რას გვიჩვენებს?..

ამ კითხვებზე პასუხების გაცემისას აქტიურად გამოიყენება სახელმძღვანელო.



### აქტივობა 3 – ტექსტის შინაარსის გადმოცემა:

მოსწავლეები ერთხელ კიდევ კითხულობენ ტექსტს, ამჯერად ჩუმად, ყოფენ მას ნაწილებად და ადგენენ გეგმას, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

- ა) საქართველო 1609 წლის ზაფხულში
- ბ) მტრის მოულოდნელი თავდასხმა
- გ) მტრის განზრახვა/სურვილი/ჩანაფიქრი
- დ) ცხირეთის გზა
- ე) თევდორე მღვდლის შეპყრობა
- ვ) თევდორე მღვდლის არჩევანი
- ზ) მოტყუებული მტერი
- თ) მტრის შურისძიება
- ი) თევდორეს თავგანწირვის ნაყოფი

წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს ჯერ ნაწილ-ნაწილ, შემდეგ – მთლიანად. თბრობისას ყურადღება მახვილდება ამბის ლოგიკური თან-მიმდევრობით გადმოცემაზე, მწერლის ლექსიკაზე, რომელიც ზოგ შემთხვევაში მასწავლებლისგან კორექტირებას მოითხოვს.

### აქტივობა 4 – ტექსტის გააზრება და შეფასება:

- თევდორე მღვდლის რა თვისებები ჩანს ამ ტექსტში?
- რა იყო ამ ბრძოლაში ქართველთა გამარჯვების მიზეზი? (*თევდორეს თავდადება, გიორგი სააკაძის წინამძღოლობა, ქართველთა თავგანწირვა, მათი ორგანიზებულობა...*).
- ქართველთა რა თვისებები ჩანს ტექსტში? (*მტრის სიძულვილი, ბრძოლისათვის მზადყოფნა, სამშობლოს სიყვარული, ვაჟკაცობა...*).
- თქვენი აზრით, რატომ გაუკეთა მწერალმა მინანერი ამ მოთხრობას? ეთანხმებით მწერლის რჩევას? რატომ?

### აქტივობა 6 – წერა: ტექსტის მიხედვით დაწერეთ „თევდორე მღვდლის არჩევანი“

#### შედეგების კოდი:

1. მოსწავლეს აქვს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის აუცილებელი უნარ-ჩვევები.
2. მოსწავლეს შეუძლია ლიტერატურული ტექსტების მოსმენა, გაგება და მათი შინაარსის გადმოცემა: სათაურის მიხედვით გამოთქვამს ვარაუდს ტექსტის შესაძლო შინაარსის შესახებ; ასახელებს მოსმენილ ტექსტში ასახულ ფაქტებს, პერსონაჟებს; აღწერს და ახასიათებს საგნებსა და პერსონაჟებს თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით; ჰყვება მოსმენილი ტექსტის შინაარსს; მარტივი გეგმის მიხედვით ჰყვება ნაკითხული ტექსტის შინაარსს;
3. მოსწავლეს შეუძლია მისთვის საინტერესო თემატიკის შემცველი სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტების (საყმაწვილო ჟურნალების, დარგობრივ-შემეცნებითი სტატიების, სხვადასხვა შინაარსის ცნობარების, ინტერვიუებისა და სხვ.) ნაკითხვა და გააზრება: აკავშირებს ერთმანეთთან ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები; განსაზღვრავს ტექსტის ერთ მონაკვეთში ან მის სხვადასხვა ნაწილში ასახულ მოვლენებს, ფაქტებს შორის არსებულ ლოგიკურ კავშირებს;
4. მოსწავლე ამოკრებს ტექსტიდან აზრობრივი თვალსაზრისით მისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო ადგილებს; გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს ლიტერატურული ტექსტის სიუჟეტში განვითარებული მოვლენების შესახებ;
5. თანამიმდევრულად გადმოსცემს შინაარსს წერილობით;
6. შეუძლია ძირითადი გრამატიკული ელემენტების მართებულად გამოყენება ტექსტის შექმნისას.



**გაკვეთილის მასალა:**  
**ანა კალანდაძე – „შენ ისე ღრმა ხარ“; ენობრივი მასალა – ზელსართავ სახელზე  
დაკვირვება, რითმა**

**მიზნები**

- პოეტური ტექსტის აღქმა
- მხატვრულ კითხვაში ვარჯიში
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- მხატვრულ სახეებზე დაკვირვება
- ორთოგრაფიული და ორთოეპიული ჩვევების ფორმირება
- სიტყვის სემანტიკაზე დაკვირვება, სიტყვათა წარმოქმნა (ტერმინის გარეშე)

**ტექსტზე მუშაობა**

**აქტივობა 1 – კითხვისთვის მზადება:**

მასწავლებელი კლასს აძლევს დავალებას – გაიხსენონ საქართველოს ისტორიული ძეგლები, ისაუბრონ მათ შესახებ; მოსწავლეები საუბრობენ, რა ნაუკითხავთ კულტურული ძეგლების ირგვლივ, მათ შესახებ ცნობილი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებებს თუ გაიხსენებენ...

**აქტივობა 2 – ტექსტის კითხვა და ანალიზი:**

მასწავლებელი კლასს გამომეტყველებით უკითხავს ანა კალანდაძის ლექსს „შენ ისე ღრმა ხარ...“, აკითხებს 1-2 მოსწავლეს, შემდეგ ავალებს წაიკითხონ ლექსი ჩუმად, მოძებნონ და ახსნან გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, გამოიყენონ ამ მიზნით „სიტყვის სალარო“; მოინიშნონ ის უცნობი სიტყვებიც, რომლებიც წიგნში არ არის ახსნილი:

**ოსმალო** – (ძვ.) იგივეა, რაც თურქი...

**მონღოლი** – (ისტ.) მონღოლები – სახელწოდება სხვადასხვა ტომისა, რომლებმაც XIII საუკუნეში შექმნეს სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო, **მონღოლი** – ამ ეთნოსის წარმომადგენელი.

**სპარსი** – ირანელის ძველი სახელწოდება. **ირანი** – ქვეყანა აღმოსავლეთში.

**ოშკი** – X ს-ის 50-60-იანი წლების ქართული ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანესი ძეგლი, სამონასტრო ცენტრი ისტორიულ ტაოში (ახლა თურქეთის ფარგლებში).

**ზარზმა** – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი სოფელ ზარზმაში, ადიგენის რაიონში. თავდაპირველად დაუარსებია (VIII-IX სს.) სერაპიონ ზარზმელს ადგილობრივი მთავრის გიორგი ჩორჩანელის დახმარებით. ზარზმის ახლანდელი ტაძარი და სამრეკლო აგებულია XIV ს-ის პირველ წლებში – სამცხის მთავრის ბექა მანდატურთუხუცესის დროს.

**ტაო** – მხარე ისტორიულ სამხრ.-დას. საქართველოში, მდინარე ჭოროხის შუა დინების აუზში (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია). ურარტულ წარწერებში „დიაოხის“ სახელითაა ცნობილი.

**ფაქიზი** – ძალიან სუფთა, წმინდა, სპეტაკი, უმნიკვლო

**დიდება** – სახელი, პატივი, ღირსება

**ინფორმაცია მასწავლებლისათვის:**

**ანა კალანდაძე 1924 წ.** დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფ. ხიდისთავში, ქართველი პოეტი, მან 1946 წ. დაამთავრა თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამავ ენის გამოაქვეყნ-

ნა პირველი ლექსები. პირველი კრებული „ლექსები“ 1953 წელს გამოსცა. მისმა პოეზიამ იმთავითვე მიიპყრო ყურადღება ლექსის სინატიფითა და პოეტური აზროვნების მაღალი კულტურით. მან ქართულ პოეზიაში ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ კვლავ გამოხატა სულიერი სინაზე და სიფაქიზე. მისი შემოქმედების ყველა თემა თუ მოტივი ლირიკული თვითგამოხატვით ცხადდება და უაღრესი ინტიმურობის ელფერს იძენს. ასე აჟღერდა მის ლექსებში სამამულო ომის შემდეგ მშვიდობიანი ცხოვრების დასაწყისის თემაც („კარში გამო, ჭია-ჭია მარია“, 1946); ასეთია ბუნების გრძნობაც („თუთა“, 1945; „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“, 1946; „ბეთანიის გზაზე“, 1954). ისტორია კალანდაძის ლექსში არასოდეს არ გვევლინება გაყინული სახით და თანადროულობაც პოეტის წარმოდგენაში ხშირად ინვეს გარდასულ დროთა ცხოველ მოგონებას („შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო“, „ასეთი დარი თუ იყო მაშინ“; „ღრუბლები“). ანა კალანდაძის პატრიოტიზმი გამოხატავს ერის არსებით თვისებათა – სიკეთის, ქედუხრელობის, სიდიადის, შეწყალების – ორგანულ განცდას („საქართველოო ლამაზო“, „მრავალჟამიერ“, „ფეხი დამადგით“). მისი ლექსის საზოგადოებრივი ჟღერადობა ეფუძნება თანამედროვე ადამიანის ზნეობრივი სინმინდისა და ამაღლების ამოცანას.

ანა კალანდაძის პოეტური სტილი სისადავითა და ჰარმონიული ფორმით გამოირჩევა. სინამდვილე მის ლირიკაში მხოლოდ განწმენდილი, გაფაქიზებული სახით წარმოჩნდება. მაღალი პათეტიკისა და ნრფელი გულითადობის შეზავება ზომიერი არქაიზაციისა და სასაუბრო ინტონაციების შერწყმით არის მიღწეული.

ა. კალანდაძის პოეტური კრებულები გამოიცა გასული საუკუნის 50-60-70-იან წლებში, მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, პოლონურ, რუმინულ, თურქულ, არაბულ და სხვა ენებზე.

ანა კალანდაძე გარდაიცვალა 2008 წელს.

(ჩხეიძე ნ. ლიტერატურული წერილები, თბ., 1969; ჩხენკელი თ., პოეზია – სიბრძნის დარგი, თბ., 1978; ქილაძე თ. წერილები, თბ., 1978 წ.).

### აქტივობა 3 – გააზრება:

1) გაირკვევა ვინ არის ლექსის ავტორი (ა. კალანდაძე), რომელი ხუროთმოძღვრული ძეგლები (ტაძრები, ეკლესიები) არის დასახელებული ლექსში (ოშკი, ზარზმა), საქართველოს ისტორიული მტრებიდან რომლებია ნახსენები აქ (სპარსი, ოსმალო, მონღოლი).

2) გაანალიზდება, რას უძღვნის პოეტი ამ ლექსს (პოეტი ამ ლექსს უძღვნის მშობლიური ქვეყნის ზეცას).

– რომელი სიტყვები მეორდება ლექსში? („შენ ისე ღრმა ხარ...“ და „ქართულო ცაო!“). (ხერხი გამეორებაა, რომელსაც პოეტი მიმართავს, ცნობილი სტილისტური ხერხია ლიტერატურაში).

### ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

**გამეორება** – გამოსახვის სტილისტიკური ხერხი; მხატვრულ მეტყველებაში გამოყენებულია აზრის ხაზგასმისა და ემოციის გამაძლიერებელ საშუალებად. გულისხმობს როგორც სიტყვების, ფრაზების, წინადადებების, ისე – ბგერების, რითმის მეტრისა და რიტმის გამეორებასაც. ენობრივი გამეორების (ბგერითი გამეორების) სახეებია: **ალიტერაცია, ასონანსი, რითმა.**

– პოეტის აზრით, რატომ ვერ ნახულობს ქართული ცის ქვეშ სამკვიდროს მტერი? (ქართველები ვერ ეგუებიან მტრის ბატონობას).

– რომელი ისტორიული ძეგლებია ნახსენები ლექსში? (ლექსში ნახსენებია **ოშკი** და **ზარზმა**). რატომ ახსენებს მათ პოეტი? (ზემოთ დასახელებული ისტორიული ძეგლები:

**ოშკი და ზარზმა** უტყუარი დასტურია ძველი საქართველოს მატერიალური და სულიერი ძლიერებისა, მათი ხსენებით პოეტი ლოგიკურ ხაზს აბამს მანამდე ნათქვამ ფრაზასთან: „სამკვიდრო შენს ქვეშ... ვერავინ ნახა“, ვერ მოიკიდა ფეხი მტერმა, რადგან ოშკისა და ზარზმის შემქმნელ ერს ვერ მოერიო ვერც ურჯულო ოსმალი, ვერც სპარსი და ვერც მონღოლი).

– რა განწყობა დაგეუფლათ? (ამის თაობაზე მოსწავლეებს, ბუნებრივია, სრულიად სხვადასხვა შეხედულება ექნებათ. დაე, იმსჯელონ!).

– რატომ არის ტაო „ბებერი“? (რადგან მას ძალიან დიდი ხნის ისტორია აქვს).

#### **აქტივობა 4 – ენობრივ მასალაზე დაკვირვება:**

– რომელ ზედსართავ სახელებს იყენებს პოეტი ქართული ცის დახასიათებისთვის? („ღრმა“).

– „ბებერო ტაო“, – წერია ლექსში. უსულო საგნის თვისების აღსანიშნავად შეიძლება თუ არა ამ ზედსართავი სახელის გამოყენება? (შეიძლება, როდესაც ავტორი მას იყენებს, როგორც მხატვრულ ხერხს).

#### **ინფორმაცია მასწავლებლისათვის:**

**გაპიროვნება** – პერსონიფიკაცია, ტროპის სახე. მხატვრული გამოსახვის ხერხი, რომლისთვისაც დამახასიათებელია საგნებისა და მოვლენებისადმი ადამიანური თვისებების მიწერა, უსულო და სულიერი საგნების გაადამიანება. უსულო საგანი გაპიროვნებაში წარმოდგენილია, როგორც ადამიანი, რომელიც გრძნობს, მსჯელობს, მოქმედებს. განსხვავდება მეტაფორისაგან იმით, რომ მეტაფორაში ყველა თვისების გადატანა შეიძლება ერთი საგნიდან მეორეზე, გაპიროვნებაში კი გადატანილია მხოლოდ ადამიანური თვისებები (ა. ჭილაია, რ. ჭილაია, ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები).

– სად არის ამ ლექსში მიმართვა? („ქართულო ცაო“); რა სასვენი ნიშნებით გამოიყოფა იგი? (მიმართვა ორივე მხრიდან მძიმით გამოიყოფა).

#### **აქტივობა 5 – რითმაზე დაკვირვება:**

მასწავლებელი დააკვირვებს მოსწავლეებს ლექსის ორ სეგმენტზე:

**სპარსმა – ზარზმა**

**ცაო – ტაო**

სვამს კითხვას: – როგორ ფიქრობთ, რით ჰგავს ეს სიტყვები ერთმანეთს? (სავარაუდო პასუხი: ეს სიტყვები ერთმანეთს ჰგავს დაბოლოებებით); ლექსში სხვაგანაც ხომ არ მოძებნიდით ასეთ სიტყვებს? (ღრმა ხარ – ნახა); რას ანიჭებს ამით ლექსს პოეტი? (ამით ლექსს პოეტი ანიშნებს მუსიკალურობას, კეთილხმოვანებას, სილამაზეს).

#### **ინფორმაცია მასწავლებლისათვის:**

**რიტმა** – (ბერძნ. რიტმოს – ტაქტი, ზომა) ერთი და იმავე ან მსგავსი ბგერების კანონზომიერი გამეორება, ბგერათა შეწყობა-შეთანხმება ტაეპებში უკანასკნელი მახვილიანი მარცვლიდან მოყოლებული. ზოგჯერ ბგერების ასეთი შეწყობა-შეთანხმება ტაეპებს შიგნითაა (შიგა რიტმა).

რიტმაში შეიძლება მეორედობდეს ცალკეული ბგერები, სიტყვები ან სიტყვათა ჯგუფები, იშვიათად – ტაეპები. ლექსიკური თვალსაზრისით რიტმა საინტერესოა იმით, რომ იგი ბგერითი გამეორებით გამოყოფს სიტყვას და ამით ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას. რიტმის ინტონაციური ფუნქცია ხელს უწყობს ლოგიკურ მახვილს, რის შედეგადაც გასარიტმი

სიტყვა გამოიყოფა მეტყველების ნაკადში და იქცევა ყურადღებას. რითმა პოეტურ მეტყველებაში ქმნის რიტმულობას, კეთილხმოვანებას, მუსიკალობას საერთოდ.  
(ა. ჭილაია, რ. ჭილაია, ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები)

**აქტივობა 6 – საშინაო დავალება:**

ლექსი ზეპირად, მოიძიონ ინტერნეტით ინფორმაცია ლექსში დასახელებული კულტურული ძეგლების შესახებ.

**შედეგების კოდი:**

1. მოსწავლეს შეუძლია ლიტერატურული ტექსტების მოსმენა, გაგება;
2. მოსწავლეს შეუძლია ძირითადი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების სათანადოდ გამოყენება;
3. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ტექსტის (ლექსი) ნაკითხვა და ადეკვატურად გაგება– გაანალიზება;
4. მოსწავლეს აქვს კითხვის პროცესით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემის უნარი.

**გაკვეთილის მასალა:**  
**ილია ჭავჭავაძე – „ნიკოლოზ გოსტაშაპივილი“**

**მიზნები:**

- ტექსტის კითხვა და ანალიზი
- კითხვისა და წერის სტრატეგიების დაუფლება
- პარალელურად გავლება შესწავლილ (წაკითხულ) ლიტერატურულ ნაწარმოებებთან
- წაკითხულის შეფასება და საკუთარი აზრის დასაბუთება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- გაბმული მეტყველების განვითარება
- ნაწარმოების თემისა და დედააზრის გარკვევა
- ლიტერატურული პერსონაჟების მარტივად დახასიათება
- რიცხვით სახელზე დაკვირვება და მართლწერის სათანადო ჩვევების დაუფლება

**აქტივობა 1 – კითხვისათვის მზადება-პროვოცირება:**

მასწავლებელი კლასს ახსენებს ილიას ცნობილ ფრაზას:

„პატიოსან მტერთა შორის  
მოციქული ნამუსია“.

კლასს ყოფს ჯგუფებად და ავალებს გაიაზრონ, როგორ ესმით ფრაზა „ნამუსიანი მტერი“. მოსაფიქრებლად ეძლევათ რამდენიმე წუთი. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს საკუთარ ვარიანტს, რომელიც შეფასდება და გაანალიზდება კლასში.

**დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:**

**გიორგი XI** – ქართლის მეფე 1676-1988, 1703-1709 წლებში; ვახტანგ V-ის ძე; მისი მეფობის ხანა ხასიათდებოდა ირანთან ურთიერთობის გამწვავებით; ცდილობდა მეფის ხელისუფლების განმტკიცებასა და ირანის ბატონობის ალაგმვას ქართლში; დახმარების მისაღებად დიპლომატიური მოლაპარაკება გამართა ოსმალეთთან. 1688 წ. აჯანყდა ირანელების წინააღმდეგ. ააჯანყება დამარცხებით დასრულდა, რადგანაც ვერ მიიღო შეპირებული დახმარება ირანისაგან, ამავ დროს, უღალატეს ადგილობრივმა ფეოდალებმა. ირანის შაჰმა მეფობიდან გადააყენა და მის ნაცვლად გაამეფა ერეკლე I (1688 წ.). გიორგი XI-მ იმერეთს შეაფარა თავი და იქიდან იბრძოდა ტახტის დასაბრუნებლად. 1696 წელს გაემგზავრა ირანში და დასთანხმდა შაჰის წინადადებას – ირანთან ერთად მიეღო მონაწილეობა ავღანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. შაჰმა იგი კვლავ დაამტკიცა ქართლის ტახტზე (1703 წ.) და დაავალა ავღანელთა დამორჩილება. გიორგი XI-მ ირანის შაჰის წინააღმდეგ აჯანყებული ავღანელები დაამარცხა, მაგრამ ავღანელებმა იგი ღალატით მოკლეს 1709 წ. (ქსე, ტ. III, გვ. 161).

**ყიზილბაშები** (თურქ.) – „წითელთავიანები“; მათი წითელი თავსაბურავი შედგებოდა 12 ნაკეცისაგან, რაც სიმბოლოურად 12 შიიტ იმამს ნიშნავდა. ქართულ ისტორიულ წყაროებში „ყიზილბაშები“ ერქვათ ირანელ მებრძოლებს, რომლებიც ამ წითელ თავსაბურავს ატარებდნენ (ქსე, ტ. X, გვ. 642).



## აქტივობა 2 – ტექსტის კითხვა და ანალიზი:

ტექსტს კითხულობენ ნაწილ-ნაწილ, ცალკეული, აზრობრივად დასრულებული მონაკვეთების სახით. შეიძლება გამოვიყენოთ „პაუზებით კითხვაც“ და თითოეული მონაკვეთის ნაკითხვის შემდეგ კლასს მივცეთ შესაძლებლობა, გამოთქვას ვარაუდი მოვლენათა შემდგომი განვითარების შესახებ. გზადაგზა აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმებიც. გარდა „სიტყვათა სალაროში“ ახსნილი ლექსიკური ერთეულებისა, მოსწავლეთათვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს:

**სარდალი** — მხედართმთავარი

**დაიძახეს ჯარიანობა** — შეკრიბეს ჯარი

**გამართული ჯარი** — კარგად განვრთნილი და აღჭურვილი ჯარი

**ჯირითი** – ჭენება (ცხენისა)

**მოსხეპილი** — მოხდენილი, ტანწერილი

**კამარა შეკრა** – მალლა ახტა და შორს დაეშვა, ფრენით ნახევარწრე გააკეთა

**მკლავი ერჩის** – ძალა მოსდევს...

ამ დროს გაირკვევა ისიც, თუ რომელი ფორმებია დღევანდელი სალიტერატურო ქართულისათვის მიუღებელი და რა არის მათი თანამედროვე შესატყვისი (**დაიძახეს ჯარიანობა** — *ჯარი შეკრიბეს; თავისად დაიჭიროს* – *დაისაკუთროს, დაიპყროს; მინამ* – *მანამ; შეუბღერტა* – *შებერტყა, შეაჯანჯლარა...*). ყურადღება გამახვილდება ტექსტში გამოყენებულ იდიომატურ გამოთქმებზეც:

**სირცხვილი გვაჭამოს** – შეგვარცხვინოს

**ქალის ლეჩაქი დაგვხუროს** – შეგვარცხვინოს (*იტყვიან მხოლოდ მამაკაცზე*)

დაისმის **ფაქტობრივ** მასალაზე ორიენტირებული კითხვები, რომელთა პასუხები მოსწავლეებმა წიგნში უნდა მოძებნონ:

– საქართველოს ცხოვრების რა პერიოდია აღწერილი ტექსტში? ვინ იყო ამ დროს ქართლის მეფე? ირანის ყაენი?

– რა მიზნით გამოაგზავნა ირანის შაჰმა თავისი ჯარი?

– მოძებნეთ ტექსტში ის ადგილი, სადაც აღწერილია: **ა)** ყიზილბაში მეომრის სითამამე; **ბ)** ქართველ მეომართა წუხილი ამის გამო; **გ)** მტერთან შებრძოლება; **დ)** ქართველ მეომართა იმედი; **ე)** ნიკოლოზის უარის მიზეზი; **ვ)** ნიკოლოზისა და მტრის მეომრის ორთაბრძოლა...

ამის შემდეგ მოსწავლეები ტექსტს კითხულობენ **ჩუმად**, ჩაინიშნავენ იმ კითხვებს, რომლებიც ტექსტის კითხვისას გაუჩნდათ.

## აქტივობა 3 – ტექსტის შინაარსის გადმოცემა:

კოლექტიურად, მთელი კლასის მიერ, შედგება გეგმა, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

ა) სპარსელების თავდასხმა

ბ) ახალგაზრდა ყიზილბაშის სითამამე

გ) ქართველების წუხილი

დ) მშველელის ძებნა

ე) ნიკოლოზის უარის მიზეზი

ვ) ქართველების თხოვნა

ზ) ახალგაზრდა მტერთან შებრძოლება

თ) რაინდები...



მოსწავლეები გადმოსცემენ ტექსტის შინაარსს ჯერ ნაწილ-ნაწილ, შემდეგ კი – მთლიანად გაბმული თხრობით. თხრობისას ყურადღება მახვილდება ამბის ლოგიკური თანმიმდევრობით გადმოცემაზე, თანამედროვე სალიტერატურო ფორმების გამოყენებაზე, III პირში თხრობაზე, სხვათა სიტყვის ნაწილაკების მართებულად გამოყენებაზე...

#### **აქტივობა 4 – ტექსტის გააზრება და შეფასება:**

– თქვენი აზრით, რატომ იქცევა მტრის მებრძოლი ასე თამამად? მისი რა თვისებები ჩანს ტექსტში?

– რას ნუხან ქართველი მეომრები? რას მიიჩნევენ ისინი „სირცხვილის ჭმევად“ და „ქალის ლეჩაქის“ დახურვად? რა სწყინთ მათ ყველაზე მეტად? მათი რა თვისებები ჩანს ამ ნაწარმოებში?

– რატომ თქვა ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილმა მტრის ახალგაზრდა ჯარისკაცთან მებრძოლეობაზე უარი? რა იყო ამის მიზეზი?

– ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის რა თვისება ჩანს მისი სიტყვებიდან: „*მე შენ თავს არ მოგჭრი, შენი თავი შენი ვაჟკაცობისათვის მიპატიებია...*“? რა ჩათვალა მან მტრის ვაჟკაცობად?

– რატომ მოიქცა ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი ასე? რა იყო ამის მიზეზი? **(ა) მტრის სიბრალული, ბ) დამარცხებული მტრის პატივისცემა, გ) ყიზილბაშების შიში** – ხაზი გაუსვით თქვენთვის მისაღებ პასუხს და დაასაბუთეთ).

– მტრის მებრძოლის რა თვისება ჩანს მისი სიტყვებიდან: „*მეც თუ სიცოცხლეს ვიჩუქებდი, მარტო შენისთანა ვაჟკაცისაგან*“?

– რა სიტყვებით ახასიათებს ნიკოლოზი საკუთარ თავს? (*დაბერებული და დაჩაჩანაკებული*). მისი რა თვისება ჩანს აქედან? (*თავმდაბლობა*). რა სიტყვებით ახასიათებს იგი მტრის ჯარისკაცს? რას ადარებს მას? (*ახლად უღვაშაშლილი ვაჟკაცი ლომსა ჰგავს*). თუ ჩანს ამ სიტყვებში მისი დამოკიდებულება მტრის ჯარისკაცისადმი? (*ჩანს მის მიმართ პატივისცემა და ძალების რეალურად შეფასების უნარი*).

– თუ ჩანს ტექსტში ავტორის დამოკიდებულება გამირებისადმი? (*ავტორის დამოკიდებულება ტექსტში არ ჩანს, იგი მხოლოდ მთხრობელის როლში გვევლინება*).

– მისაღებია თქვენთვის ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილის საქციელი? მტრის ჯარისკაცის საქციელი? (**დიახ, არა**, – დაასაბუთეთ თქვენი აზრი, სრულდება წყვილებში).


– შეიძლება თუ არა ვუნოდოთ მათ „ნამუსიანი მტრები“? დაასაბუთეთ.

– რომელი შესწავლილი (ნაკითხული) ნაწარმოები გაგახსენდათ ამ ლექსის კითხვისას? რა აქვთ მათ საერთო?


– რა არის მთავარი ამ ტექსტში? **(ა) რაინდული დამოკიდებულება მტრებს შორის, ბ) ქართველების ბრძოლა მტრის წინააღმდეგ, გ) გიორგი XI-ის დროინდელი საქართველოს აღწერა — სწორი პასუხია ა).**

#### **აქტივობა 5 – ტექსტის აგება — ლიტერატურულ პერსონაჟთა მარტივად დახასიათება:**

დაფაზე დაიხაზება „**გონებრივი იერიშის რუკა**“, რომელიც თანდათანობით შეივსება მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობით:



გაკეთდება ვენის დიაგრამაც, რომელიც ასევე დაეხმარება. მოსწავლეებს პერსონაჟთა ხასიათთა შორის მსგავსებისა და განსხვავების დადგენაში:



შემდეგ მოსწავლეები წერილობით ახასიათებენ პერსონაჟებს).

**აქტივობა 6 – ენობრივ მასალაზე დაკვირვება:**

**ფრაზეოლოგიური მუშაობა:** რომელი ფრაზებით გამოხატავს მწერალი უდიდეს სირცხვილს? („ქალის ლეჩაქი დაგეხუროს“, „სირცხვილი გვაჭამოს“). აქვე მასწავლებელი კლასს აცნობს სინონიმური მნიშვნელობის სხვა ფრაზეოლოგიზმებსაც: „თავი მოეჭრა“, „სირცხვილის ოფლში გაიწურა“, „ქუდი არ ჰხურებია“. შეიძლება ამ ფრაზეოლოგიზმების გამოყენებაც წინადადებებში.

**აქტივობა 7 – მოკლედ დაახასიათეთ ნიკოლოზ გოსტაშვილი.**

## **შედეგების კოდი:**

1. მოსწავლეს აქვს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის აუცილებელი უნარ-ჩვევები.
2. მოსწავლეს შეუძლია ლიტერატურული ტექსტების მოსმენა, გაგება და მათი შინაარსის გადმოცემა: ასახელებს მოსმენილ ტექსტში ასახულ ფაქტებს, პერსონაჟებს; აღწერს და ახასიათებს საგნებსა და პერსონაჟებს თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით; ჰყვება მოსმენილი ტექსტის შინაარსს; მარტივი გეგმის მიხედვით ჰყვება წაკითხული ტექსტის შინაარსს;
3. მოსწავლეს შეუძლია მისთვის საინტერესო თემატიკის შემცველი სხვადასხვა სახის არამხატვრული ტექსტების წაკითხვა და გააზრება: აკავშირებს ერთმანეთთან ფაქტებს, მოვლენებს, მოქმედებებს და გამოაქვს სათანადო დასკვნები; განსაზღვრავს ტექსტის ერთ მონაკვეთში ან მის სხვადასხვა ნაწილში ასახულ მოვლენებს, ფაქტებს შორის არსებულ ლოგიკურ კავშირებს;
4. მოსწავლე ამოკრებს ტექსტიდან აზრობრივი თვალსაზრისით მისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო ადგილებს; გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებებს ლიტერატურული ტექსტის სიუჟეტში განვითარებული მოვლენების შესახებ;
5. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა და აზრის გასაგებად ჩამოყალიბება.

**გაკვეთილის მასალა:**  
**გალაკტიონ ტაბიძე – „ჰიპნი ქართულ ანბანს“;**  
**ინფორმაცია ქართული ანბანის შესახებ**


**მიზნები**

- პოეტური ტექსტის აღქმა
- მოსწავლეებში ფასეულობითი ღირებულებების ჩამოყალიბება
- გამომეტყველებითი კითხვის ჩვევის დაუფლება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- ქართული ანბანის შესახებ მოკლე საგანმანათლებლო ინფორმაციის მიწოდება
- ცოდნის შეჯამება – რა ვიცოდი ქართული ანბანის შესახებ, რა გავიგე, რის გაგება მაინტერესებს
- მოკლე აღწერითი ტექსტის შექმნა მოცემულ თემაზე (ქართული ანბანი).

**ტექსტუა მუშაობა**

**აქტივობა 1 – კითხვისათვის მზადება:**

მოსწავლეებს ეძლევათ დავალება – გაიხსენონ, რა იციან ქართული ანბანის შესახებ და ისაუბრონ ამ საკითხის ირგვლივ (*შენიშვნა – შეიძლება მოსწავლეებს წინასწარ დავალებით მოემზადონ ამ საკითხზე მსჯელობისათვის: გაიხსენონ ის, რაც უკვე იციან, მოიძიონ სათანადო ინფორმაცია, ამ მიზნით გამოიყენონ ინტერნეტი, ბიბლიოთეკა, ჰკითხონ ამის შესახებ უფროსებს...*). ცოდნის პრეზენტაცია და შეფასება ხდება კლასში. მასწავლებელი აწვდის საჭირო დამატებით ინფორმაციასაც. შეიძლება შედგეს „გონებრივი იერიშის“ რუკაც, რომელიც დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:



**დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:** ენაში ასოები დალაგებულია გარკვეული თანმიმდევრობით, რომელიც ტრადიციულად არის დამკვიდრებული. **გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებულ ყველა ასოს ანბანი ჰქვია.**

თანამედროვე ქართულში 33 ბგერაა, ყოველ ბგერას თავისი პირობითი ნიშანი – ასო – აქვს. ეს ასოები საკმაოდ სრულყოფილად ასახავს თანამედროვე ქართული ენის ბგერით შედგენილობას.

ქართული ანბანის თავისებურებანი:

ა) ზოგიერთ ენაში ერთ ასოს ხშირად რამდენიმე მნიშვნელობა აქვს (შდრ: რუსული, ინგლისური...), **ქართულში კი ყველა ასოს ჩვეულებრივ ერთი ბგერითი მნიშვნელობა აქვს;**

ბ) ზოგიერთ ენაში ერთი და იგივე ბგერა შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა ასოთი (შდრ: რუსული, ინგლისური...), **ქართულში კი თითო ბგერა თითო ასოს გამოხატავს;**

გ) ზოგიერთ ენაში (მაგ., რუსულში) სამეტყველო ბგერის გამომხატველი ნიშნების (ასოების) გარდა, გვაქვს სხვა დანიშნულების ნიშნებიც (ჟ და ზ), პირველი გამყოფი ნიშანია, მეორე წინ მდგომი თანხმოვნის სილბოს აღმნიშვნელი. **ქართულ ანბანში კი ყველა ასო სამეტყველო ბგერის გამომხატველია;**

დ) ინდოევროპულ ენებში დიდი (ასომთავრული) და პატარა ასოების გამოყენების გარკვეული წესებია შემუშავებული, **თანამედროვე ქართულში კი ამგვარი გარჩევა არა გვაქვს;**

ე) ერთმანეთისაგან დიდად არ განირჩევა ქართული ბეჭდური და ხელნაწერი ასოებიც, გამონაკლისია რამდენიმე ასო: **ლ, რ, ო, დ, ჯ, უ**, რომელთაც ხელნაწერი ალტერნატიული ვარიანტებიც გააჩნიათ.

ქართული დამწერლობის განვითარებაში პირობითად გამოყოფენ სამ საფეხურს: **მრგლოვანი, ნუსხური, მხედრული**. V-IX საუკუნეებში ძირითადად გავრცელებული იყო მრგლოვანი, ანუ ასომთავრული; X-XI საუკუნეებში იგი შეცვალა ნუსხურმა, ხოლო XI საუკუნიდან ჩაისახა მხედრული, რომელიც თანდათანობით შეიცვალა და საბოლოოდ მიიღო ის სახე, რომელიც მას აქვს დღეს.

XVIII საუკუნიდან რიცხვების გამოსახატავად ქართულში ასოები იყო გამოყენებული: ანბანის პირველი ცხრა ასო ერთეულებს აღნიშნავდა, მეორე ცხრა – ათეულებს, მესამე ასეულებს, მეოთხე კი – ათასეულებს.

ასოთა რიცხვითი მნიშვნელობის მაჩვენებელი ცხრილი	1	2	3	4	5	6	7	8	9
ერთეულები	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	თ	ი
ათეულები	ი	კ	ლ	მ	ნ	ძ	ო	პ	ჟ
ასეულები	რ	ს	ტ	უ	ფ	ქ	ღ	ყ	შ
ათასეულები	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჯ	ჟ	ჰ
ბევრეული	ჭ								

ამ მიზნით გამოყენებული იყო მთელი ანბანი. მოგვიანებით მან ადგილი დაუთმო არაბულ ციფრებს.

ძველ ქართულ ანბანში (V-X) 38 ასო იყო, (ამათგან 33 იმ ბგერებს გამოხატავდა, რომელიც სალიტერატურო ქართულში დღესაც გვაქვს), დღევანდელი ქართული ანბანისგან განსხვავებით აქ გვხვდებოდა შემდეგი ასოები: – **ჭ, ძ, ჯ, ზ** (ეი, იოტა, ვიე, ხარი, ჰოე); შემდეგში კი მათი რაოდენობა 40-მდე ავიდა, XVIII საუკუნისთვის დაემატა **უმარცვლო უ** და **ფი (უ და ფ)**. ქართული ანბანის გამარტივების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის ილია ჭავჭავაძეს, სწორედ მან აღარ იხმარა თავის ცნობილ კრიტიკულ სტატიაში „რამდენიმე სიტყვა რევაზ შალვას ძე ერისთავის მიერ კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა“



ეს ნიშნები – **ჭ ღ ჯ კ შ უ** (ეი, იოტა, ვიე, ხარი, ჰოე, უმარცვლო უ). „ეს ასოები, – ნერს ილია, – სულ აღარ იხმარებიან დღევანდელს ენაში... ტყუილად აგრძელებენ ანბანს, აძნელებენ მართლწერას და სხვა არაფერს არ შეგვიძინებენ. თუ მართლა ეს ასოები არ ისმის დღევანდელს ენაში, რატომ არ უნდა გადააგდონ? შემსუბუქება და გაადვილება მართლწერისა და ანბანის განა ცოტა საქმეა?“ (ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, 1981, გვ. 80 - 89).

### აქტივობა 2 – ტექსტის კითხვა:

ტექსტს თავიდან ბოლომდე გამომეტყველებით კითხულობს მასწავლებელი. განმეორებით კითხულობენ მოსწავლეები; გზადაგზა, კითხვის პროცესში, აიხსნება გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, რისთვისაც იყენებენ „სიტყვის სალაროს“. გარდა აქ ახსნილი ლექსიკური ერთეულებისა, მოსწავლეებისათვის შეიძლება გაუგებარი აღმოჩნდეს შემდეგი სიტყვები:

**გვინათ** – გვინათებ

**სიძველის გამოსავს ნელი ხავსი** – ძალიან ძველი ხარ (მდრ. ფრაზეოლოგიზმი – ხავსი მოეკიდა)

**ქვაზე ჭრილი** – ქვაზე ამოჭრილი (უძველესი წარწერები – ბოლნისის, მცხეთის, ნეკრესის... სწორედ ქვაზეა ამოჭრილი)

**სიახლე გაქვს ორბის** – მარად ახალი და ძლიერი ხარ...

**აქტივობა 3 – ტექსტის ანალიზი:** გაირკვევა, ლექსის მიხედვით, როდის შეიქმნა ქართული ანბანი (ლექსი დაწერილია XX საუკუნეში, „26 საუკუნის წინათ“ კი გულისხმობს ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV ს-ს).

### ინფორმაცია მასწავლებლისათვის:

„ქართლის ცხოვრება“ ქართული მნიგნობრობის შემომღებად მიიჩნევს მეფე ფარნავაზს, რომელიც ჩვ. წელთაღრიცხვამდე IV-III საუკუნეებში მეფობდა. ზოგი მკვლევარი (რ. პატარიძე) ქართული ანბანის შემოღებას სწორედ ამ პერიოდს უკავშირებს, აკად. ივ. ჯავახიშვილი კი შესაძლებლად მიიჩნევს ამ თარიღის გადატანას უფრო შორს – VIII-VII ს-ში ჩვ. წელთაღრიცხვამდე (ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949 წ. გვ. 20-25). უთუოდ ივ. ჯავახიშვილის ეს მოსაზრება ჰქონდა მხედველობაში გ. ტაბიძეს, როცა ამ ლექსს წერდა: „ამოენთე ბრწყინვად ოცდაექვსი საუკუნის წინათ“.

– რას ადარებს პოეტი ქართულ ანბანს? – **მზეს**, რომელიც ყველასათვის თანაბრად ანათებს („მარად მზეებრ გვინათ“), თვალის ჩინს, რომელიც ყველაფერზე ძვირფასია ადამიანისათვის (მდრ. **თვალის ჩინი** – ძვირფასი, მეტად საყვარელი, უნაკლო, ყველაფრით სრული, გასაფრთხილებელი. ამ თქმით ჩვენთვის ყველაზე საყვარელ არსებას /ნივთს/ ვადარებთ ჩვენი მხედველობის ორგანოს – თვალს, რომლითაც ჩვენ ვჭკვრეტთ ჩვენს გარშემო ყველაფერს და რომლის გარეშე ჩვენი სიცოცხლის ღირებულება განახევრებული იქნებოდა, ყველაფერს ფასი დაეკარგებოდა. **თ. სახოკია**, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, 1979, გვ. 263-264); **ორბს** – გარეულ ფრინველს, რომელიც გამოირჩევა სიძლიერითა და სიცოცხლისუნარიანობით; **ვერხვის შრიალს** („ეს შრიალი იყო მრავალ ვერხვის“)...

– მოძებნეთ ლექსში ის სტრიქონები, რომლებითაც პოეტი ქართული ანბანის სიძველეზე მიგვანიშნებს („ამოენთე 26 საუკუნის წინათ“, „შენ სიძველის გამოსავს ნელი ხავსი“, „ასე იყავ სავსე ოცდაექვსი საუკუნის წინათ“).

– ლექსში პოეტური მინიშნებაა „ვეფხისტყაოსნისა“ და შოთა რუსთაველის შესახებ. მოძებნეთ და წაიკითხეთ ეს სტრიქონები („შენით მღერდა მომღერალი ვეფხვის, უდარებლად მცოდნე ლექსის ხერხის“).

– რა შეიტყვეთ ახალი ამ ლექსიდან ქართული ანბანის შესახებ? (ქართულ ანბანს 26 საუკუნის ისტორია აქვს).

**აქტივობა 4 – ძველი ქართული ანბანის გაცნობა:**

მასწავლებელი კლასს ესაუბრება ქართული ანბანის განვითარების საფეხურებზე მოკლედ და მარტივად, ამ დროს იყენებს სათანადო ტაბულას. თუ მოსწავლეთა სურვილი იქნება, შეიძლება ზოგიერთი ასოს მოხაზულობა დაიზეპირონ კიდეც, დაწერონ საკუთარი და მეგობრების სახელები მრგლოვანი ანბანის გამოყენებით.

**აქტივობა 5 – რა ვიცოდი ქართული ანბანის შესახებ, რა გავიგე, რის გაგება მაინტერესებს** (ეს აქტივობა შეიძლება შესრულდეს წყვილებში).

**აქტივობა 6 – „ქართული ენის სამყაროდან“ წერილობით სრულდება დავალებები №1 სა №2 („ქართული ანბანის განვითარების საფეხურები“).**

**შედეგების კოდი:**

1. მოსწავლეს შეუძლია ლიტერატურული ტექსტების მოსმენა, გაგება;
2. მოსწავლეს შეუძლია ძირითადი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების სათანადოდ გამოყენება;
3. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ტექსტის (ლექსი) ნაკითხვა და ადეკვატურად გაგება-გაანალიზება;
4. მოსწავლეს აქვს კითხვის პროცესით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემის უნარი.

**გაკვეთილის მასალა:**

**იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა!“ (თავები: „სამშობლო ღვინისა“, „სოფელი ვაშლოვანი“, „ლაკაზი კახეთში“), სალიტერატურო ენა და დიალექტები, სიტყვათა წარმოქმნა (წინა ვითარების სახელები – ტარმინის გარეშე)**

**მიზნები**

- ზეპირი გამოსვლისათვის მზადება
- აღწერითი ტექსტის აგება
- ლიტერატურული ტექსტის კითხვა და ანალიზი
- საკუთარი აზრის დასაბუთება
- კრიტიკული აზროვნების განვითარება
- სათქმელის ნათლად და გასაგებად გადმოცემა, კითხვებზე ადეკვატური პასუხების გაცემა
- გაბმული მეტყველების განვითარება
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- დიალექტიზმებზე დაკვირვება
- სიტყვის სემანტიკაზე დაკვირვება

**I გაკვეთილი**

**აქტივობა 1 – კითხვისთვის მზადება:**

მასწავლებელი დაფაზე წერს ფრაზას: **„ქართული ენა ჩვენი დედაენაა.“**

სვამს კითხვას:

- რა მნიშვნელობით არის გამოყენებული ამ წინადადებაში სიტყვა **დედაენა?** (**მშობლიური ენის მნიშვნელობით**).

- კიდევ რას აღნიშნავს ეს სიტყვა? ვინ არის „დედაენის“ ავტორი? რა გსმენიათ მის შესახებ? (ეს დავალება კლასს მიეცემა ჯგუფური მუშაობისთვის. თითოეული ჯგუფი წარმოადგენს პასუხის საკუთარ ვარიანტს. მოსწავლეები ავსებენ და აფასებენ ერთმანეთის პასუხებს).

**დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლისათვის:**

**იაკობ გოგებაშვილი (1840-1912)** – ქართველი პედაგოგი, ქართული მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი, დაიბადა ლარიბი მღვდლის ოჯახში სოფ. ვარიანში (გორის მაზრა), სწავლობდა ჯერ გორში, შემდეგ კი – თბილისის სასულიერო სემინარიაში, **1861** წელს სწავლა გააგრძელა კიევის სასულიერო აკადემიაში, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო **1863** წელს იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, აქტიურად იყო ჩაბმული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ამის გამო **1874** წ. იგი, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო, მეფის ხელისუფლებამ გაათავისუფლა სამსახურიდან, ამის შემდეგ აღარსად უმუშავია, ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას, იბრძოდა ქართული სახალხო სკოლის შექმნა-დამკვიდრებისათვის, იცავდა რეალური განათლების უპირატესობას ფორმალურთან შედარებით, აქტიურად იყო ჩაბმული წერა-კითხვის გამავრც. საზ-ბის მუშაობაში. მისთვის მთავარი პედ. პრინციპი იყო **ხალხურობის პრინციპი**, რაც, უპირველეს

დყოვლისა, გამოიხატებოდა მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობაში. პირველმა წამოაყენა აღმზრდელიობითი სწავლების იდეა, საკითხავი მასალაც სწორედ ამ პრინციპებით აქვს შერჩეული, ამის ნიმუშია „იავნანამ რა ჰქმნა?!“-ც. მის მოთხრობებში აღმზრდ. დიდაქტიკური მოტივები ორგანულად ერწყმის მხატვრულ რეალიზმს. მისი მოთხრობები მოზარდებს შთააგონებდა სამშობლოს ისტორიის პატივისცემას, მისთვის თავდადებას, ჰუმანიზმს, ეროვნებათა და რელიგიათა შორის ურთიერთმემწყნარებლობასა და ტოლერანანტობას. შემთხვევითი არ არის წარწერა მის „დედაენაზე“: „ყველა სარწმუნოების ქართველთათვის“. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ნვლილი ქართული ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში: „ქართული ანაბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ (1863-1868 წწ.), „დედა ენა“, (1876-1912 წწ.), „ბუნების კარი“ (1868 -1912 წწ.), „რუსკოე სლოვო“ (1887წ.)... მანვე შემოიტანა და დაამკვიდრა ქართულ სინამდვილეში წერაკითხვის სწავლების ის პრინციპები, რომლებიც დღესაც საფუძვლად ედება ქართული ანბანის სახელმძღვანელოებს (ლიტ-რა: ქ ს ე, ტ. III, გვ. 196; ვ. რამიშვილი, ქართული ენის სწავლების მეთოდისკა, 1957, გვ. 76-79...).

მასწავლებელი კლასს წაკითხვებს ი. გოგებაშვილის სიტყვებს:

**„დედაენის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელი ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერი ღონით და მხნეობით“.**

## **აქტივობა 2 – ტექსტის კითხვა და ანალიზი:**

მასწავლებელი იწყებს ტექსტის კითხვას. გამომეტყველებით წაკითხვას | თავს. ტექსტის ეს ნაწილი აღწერითია და მასწავლებელმა ამის გათვალისწინებით უნდა შეარჩიოს სათანადო ინტონაცია, ტემპი, პაუზები, მახვილები... კითხვის პროცესშივე ხსნის გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს:

**ცივი** – მთის სახელწოდებაა (მდებარეობს გომბორის ქედის შუა მონაკვეთზე მდინარეების: კისისხევისა და თურდოს – ზემო დინებათა წყალგამყოფზე).

**ზვარი** – ვენახი

**დალესტანი** – ქვეყანა ჩრდილოეთ კავკასიაში (აქ ცხოვრობს დაახლოებით 30 სხვადასხვა ხალხი და ეთნოგრაფიული ჯგუფი, მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანნი არიან ხუნძები, დარგულები, ყუმუხელები, ლეკები, ლაკები, ჩეჩნები...).

**მიჯნა** – საზღვარი

**ქვიტკირი** – სამენი მასალა, ქვა და კირი ერთად შედუღებული

**ნაშთი** – რაიმეს არსებობის კვალი, ადრე არსებულის ნარჩენი

ტექსტის ამ მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ სვამს კითხვებს:

– საქართველოს რომელი ნაწილია აღწერილი ამ ტექსტში? (**აღმოსავლეთი — „თბილისიდან რომ აღმოსავლეთით წახვიდე...“**).

– მოძებნეთ ტექსტში ის ადგილი, სადაც კახეთის ველია აღწერილი (**„ეს სწორე ვაკე...“**).

– რა ნაწილებად ყოფს მდინარე ალაზანი კახეთს? (**„აქეთა ნახევარს ჰქვია...“**).

– რა ქვეყანა ესაზღვრება კახეთს? (**დალესტანი**).

– რა ყოფს კახეთს დალესტანისაგან? (**მთები**).

– რა მოჩანს გაღმა მხარეს? (**„ერთ ადგილას მთის ძირში...“**)

– რაზე მიგვითითებს ეს ნაშთები?

– რაზე მიგვანიშნებს ამ თავის სათაური „სამშობლო ღვინისა“? (**იმაზე, რომ ამ თავში საუბარი იქნება ღვინის ისტორიულ სამშობლოზე-კახეთზე**);

– რატომ უწოდებენ ამ კუთხეს „ღვინის სამშობლოს“ თუ არის ამის შესახებ მინიშნე-

ბები ტექსტში? წაიკითხეთ სათანადო ადგილები. („ზღვა ვენახებისა და ზვრებისა“);

ტექსტის მეორე და მესამე თავებს კითხულობენ მოსწავლეები და გზადაგზა „სიტყვის სალაროსა“ და მასწავლებლის დახმარებით ხსნიან გაუგებარ სიტყვებსა და გამოთქმებს:

**პურადობა** – სტუმართმოყვარეობა

**სახლობა** — აქ: ოჯახი

**თარი** – აღმოსავლური მუსიკალური საკრავი

**ულალავი** – დაუღლეელი

**მასზე ამოსდიოდა მზე** — ძალიან უყვარდა

**საზოგადოდ** – აქ: საერთოდ

**ლეკები** – დაღესტნელების ტრადიციული ქართული სახელწოდებაა *(მასში იგულისხმებიან არა თავად ლეკები/ლეზგები, არამედ დაღესტნის ტერიტორიაზე მოსახლე ტომები. მათი გამოსულმანება ინტენსიურად იწყება XVII საუკუნიდან).*

**ნაბდეულობა** – მოთელილი მატყლისგან დამზადებული ნაკეთობანი; **ნაბადი** – მოთელილი მატყლისგან დამზადებული ნამოსასხამი

**ნასოფლარი** – ადგილი, სადაც ძველად სოფელი იყო

**ლელე** – აქ: ხევი

**ამოჩუხჩუხებდა** – ამოდიოდა

**კაცთმოყვარე** – ადამიანების მოყვარული

**სანოვაგე** – საჭმელი

**კარგად გასინჯო** – აქ: დააკვირდე

**გაარჩევ** – აქ: აღმოაჩენ

**აყრილი ტყე** – ხშირი ტყე

**შეფენილი მთა** – დაფარული მთა

**ოქროს გული** – კეთილი, მოსიყვარულე გული

**რუსეთისკენ განევა** – რუსული ორიენტაცია, რუსეთს მიკედლება, რუსეთის არჩევა

ტექსტის წაკითხვის შემდეგ იწყება გამოკრებითი კითხვა:

– როგორ აღწერს მწერალი სოფელ ვაშლოვანს? („დასავლეთით ამ სოფელს ერტყა ზვრები და ვენახები, ხოლო აღმოსავლეთის მხრივ კი ეხებოდა ხშირსა და აყრილს ტყეს, რომლითაც შეფენილი იყო მთა. ამ ხშირის ტყის წყალობით შიგ შუა გულს სოფელში მიწიდან ამოჩუხჩუხებდა ვეებერთელა ანკარა წყარო, რომლის ყინულივით ცივი წყალი იყო საყვარელი სასმელი მთელი სოფლისა. შენობანი სოფლისა სულ ქვიტკირისანი იყვნენ და მოწმობდნენ, რომ სოფელი შეძლებული იყო, მართლაც, მაშინ ვაშლოვანმა და მთელმა კახეთმა არ იცოდა, რა იყო ვაჭრის ვალი, რომელშიაც ეხლა კახეთია ჩაფლული“);

– რა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ტექსტში აღწერილი ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა? *(მიგვანიშნებს სიტყვები ტექსტიდან „ძველს დროში“, აგრეთვე: ნასოფლარი, ნაშთები...);*

– ვისი ოჯახია ამ ტექსტში აღწერილი? *(თავად ზურაბ ქართველადის)* – ქართველადეთა რა თვისებებზე მიგვანიშნებს მწერალი? *(კაცთმოყვარეობაზე)*. – თუ ჩანს მწერლის დამოკიდებულება ამ ოჯახისადმი? საიდან ჩანს ეს? *(ეს ჩანს მაგდანის დახასიათებაში, მწერალი მას უწოდებს „ოქრო გულის პატრონს“);*

– რის შესახებ არის საუბარი ტექსტის მესამე თავში? *(საუბარია ლეკებზე, მათ ურთიერთობაზე კახელებთან, ვაჭრობაზე ამ ორ ხალხს შორის);*

– როგორი დამოკიდებულება იყო ქართველებსა და ლეკებს შორის ძველად? *(კეთილმეზობლური)*. როდის გაფუჭდა მათ შორის ურთიერთობა? *(მას შემდეგ, რაც ისინი გამაჰმადიანდნენ, ხოლო საქართველომ კი რუსეთისაკენ აიღო გეზი)*. რა გახდა ამ ორ ხალხს შორის მტრობის მიზეზი? *(სარწმუნოების შეცვლა ლეკთა მხრიდან და საქართველოს რუსული ორიენტაცია);*



### აქტივობა 3 – წაკითხულის გააზრება (5-6 წთ.):

გაირკვევა ვინ არის ნაწარმოების ავტორი (*ი. გოგებაშვილი*), რომელ დროს შეეხება ნაწარმოებში აღწერილი ამბავი (*იმ დროს, სანამ ქართველები „რუსეთისაკენ გაიწვედნენ“*), რა არის ნაწარმოების ამ სამ თავში მთავარი (*კახეთისა და ქართველადიეები ოჯახის, აგრეთვე – ძველ დროში ქართველებსა და ლეკებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის აღწერა*).

### აქტივობა 4 – ენობრივ მასალაზე დაკვირვება:

**რთული სიტყვების ორთოგრაფიაზე მუშაობა:** მოძებნეთ ტექსტში რთული სიტყვები და გაიხსენეთ როგორ იწერება ისინი:

კაცთმოყვარე, ქვიტკირი...

– როდის იწერება რთულ სიტყვაში დეფისი (-)? (*როდესაც მათ შორის და კავშირი ჩაისმის*).

### აქტივობა 6 – საშინაო დავალება (2 წთ.):

ტექსტის პირველი სამი თავი. მეორე თავის მიხედვით შეადგინოთ გეგმა და დაწერონ. გეგმა დაახლოებით ასეთ სახეს მიიღებს:

- ა) სოფელი ვაშლოვანი
- ბ) ზურაბ ქართველადის ოჯახი
- გ) მუსიკალური ცოლ-ქმარი
- დ) ცოლ-ქმრის ბედნიერება

## II გაკვეთილი

### აქტივობა 1 – წაკითხულის დაყოფა ნაწილებად და შინაარსის გადმოცემა:

აქვე მასწავლებელი ამოწმებს წინა გაკვეთილზე მიცემულ დავალებას – მოსწავლეებს წერილობით უნდა შეედგინათ II თავის გეგმა. I და III თავებს კი მოსწავლეები კლასშივე ყოფენ ცალკეულ ნაწილებად და ადგენენ გეგმას:

I თავი:

- ა) კახეთის ადგილმდებარეობა
- ბ) ნასოფლარი

III თავი:

- ა) ქართველებისა და ლეკების ურთიერთობა ძველად
  - ბ) ქართველებისა და ლეკების ურთიერთობა მათი გამუსულმანების შემდეგ
- მოსწავლეები ამ გეგმის მიხედვითა და მასწავლებლის დახმარებით გადმოსცემენ წაკითხულის შინაარსს ჯერ ცალ-ცალკე, შემდეგ კი მთლიანად, გაბმული თხრობით.

### აქტივობა 2 – აღწერითი ტექსტის შექმნა:

– წაკითხეთ მეორე თავის პირველი აბზაცი. (*„ძველს დროში ამ ადგილას ჰყვავდა კარგა მოზრდილი სოფელი, რომელსაც ვაშლოვანი ერქვა. დასავლეთით ამ სოფელს ერტყა ზვრები და ვენახები, ხოლო აღმოსავლეთის მხრივ კი ეხებოდა ხშირსა და აყრილს ტყეს, რომლითაც შეფენილი იყო მთა. ამ ხშირის ტყის წყალობით შიგ შუა გულს სოფელში მინიდან ამოჩუხჩუხებდა ვეებერთელა ანკარა წყარო, რომლის ყინულივით ცივი წყალი იყო საყვარელი სასმელი მთელი სოფლისა. შენობანი სოფლისა სულ ქვითკირისანი იყვნენ და მოწმობდნენ, რომ სოფელი შეძლებული იყო“*).

– რომელი ზედსართავი სახელები გვხვდება აქ?*(მოზრდილი, ხშირი, შეძლებული, აყრილს, ვეებერთელა, ანკარა, ყინულივით, ცივი, საყვარელი)*, რა მოხდება, თუ თხრობისას ზედსართავ სახელებს არ გამოვიყენებთ? *(ტექსტი იქნება უემოციო და მშრალი)*. რა მიზნით იყენებს მწერალი აქ ამ ზედსართავ სახელებს? *(რათა უფრო ზუსტი და გამომსახველი გახადოს თხრობა)*.

– რომელ ზედსართავ სახელებს გამოვიყენებთ იმ ქალაქის *(სოფლის)* აღწერისათვის, სადაც თქვენ ცხოვრობთ? *(მაგ., ათენი – უძველესი, დიდი, ლამაზი, თბილი და ხმაურიანი, ხალხმრავალი...)*.

- სად მდებარეობს თქვენი ქალაქი (სოფელი)?
- რომელი მდინარე ჩამოედის მას?
- რომელი ქალაქი (სოფელი) ესაზღვრება მას?
- როგორია იგი? რა არის მასში განსაკუთრებული?
- რა ღირსშესანიშნავი ადგილებია იქ?
- რა გსმენიათ (ნაგვიკითხავთ) მის შესახებ?..

შემდეგ მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და აძლევს დავალებას – შეადგინონ ტექსტი ზეპირი გამოსვლისათვის: „ჩემი ქალაქი (სოფელი)“. იგი წინასწარ შეახსენებს მოსწავლეებს, რომ ამისათვის **საჭიროა გეგმის შედგენა; გეგმა უნდა ჩამოწერონ, თხრობისას უნდა დაიცვან თანმიმდევრობა, შინაარსი აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს მის სათაურს, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა წაუკითხონ ამხანაგებს და მოისმინონ მათი შეფასება** *(შეიძლება ეს მითითებები ბარათებზე გავაფორმოთ „სამახსოვროს“ სახით და დავურიგოთ მოსწავლეებს)*.

მოსწავლეები ახდენენ საკუთარი ნამუშევრის პრეზენტაციას და ისმენენ ამხანაგებისა და მასწავლებლის შეფასებებს.

### **აქტივობა 3 – ენობრივ მასალაზე დაკვირვება:**

#### **ა) წინა ვითარების სახელები**

– მწერალი ვაშლოვანს „ნასოფლარს“ უწოდებს. როგორ ფიქრობთ, რატომ? *(იმიტომ, რომ აქ ადრე სოფელი იყო, რომელიც ახლა აღარ არსებობს)*. რა ეწოდება ადგილს, სადაც ადრე ქალაქი იყო? *(ნა-ქალაქ-არ-ი – წერს ამ სიტყვას დაფაზე)*, სადაც ადრე ვენახი იყო? *(ნა-ვენახ-არ-ი)*, სადაც სახლი იყო? *(ნა-სახლ-არ-ი)*. სხვა ამგვარ სიტყვებსაც ხომ არ გაიხსენებთ? შევადგინოთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით. *(შესრულდება სათანადო სავარჯიშოები „ქართული ენის სამყაროდან“)*.

#### **ბ) დიალექტიზმებზე დაკვირვება:**

– სად ხდება ტექსტში აღწერილი ამბავი? სად ცხოვრობს ზურაბ ქართველადი? *(კახეთში)*. საქართველოს რომელი კუთხიდან არის მაგდანი? *(ქართლიდან)*. საქართველოს რომელ კუთხეებს დაასახელებთ კიდეც? რა ენაზე საუბრობენ ამ კუთხის მაცხოვრებლები? *(ქართულად)*. თუ არის განსხვავება საქართველოს სხვადასხვა კუთხის მაცხოვრებელთა საუბარში? *(არის)*. სად, საქართველოს რომელ კუთხეში იყენებენ სიტყვებს: **დიდედა? ბაბო? პაპა? ძალო?** *(ქართლში, კახეთში...), ბუოლა? კვახი? კვატი?.. (იმერეთში, გურიაში...)*.

**ექლავა დასკვნა:** კუთხურ მეტყველებას დიალექტი ჰქვია. **ბაბო, ბუოლა, კვახი, კვატი... დიალექტური ფორმებია.**

მასწავლებელი აქვე ავარჯიშებს კლასს დიალექტური ფორმების სალიტერატურო ქართულის ფორმებით ჩანაცვლებაზე. სრულდება სათანადო დავალება „ქართული ენის სამყაროდან“.

– ტექსტში ნახსენები არიან ლექებიც. მათაც საკუთარი ენა აქვთ. სად არის გავრცელებული ლექური ენა? *(დალესტანში)*.

**ინფორმაცია მასწავლებლისათვის:** ლექური (ლემზიური) ენა, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა დალესტანის ჯგუფის ახალდამწერლობიანი ენა. გავრცელებულია დალესტანის ა/რ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში და აგრეთვე აზერბაიჯანის ზოგიერთ სოფელში. ამ ენაზე ლაპარაკობს დაახლოებით 110 ათასი კაცი.

**აქტივობა 4 – შეჯამება:**

მოსწავლეები აჯამებენ, რა გაიგეს ამ გაკვეთილზე ახალი *(მიიღეს ინფორმაცია ქართველებისა და ლექების ისტორიული ურთიერთობის შესახებ; დალესტანისა და ლექური/ლემზიური ენის შესახებ; აღწერეს საკუთარი ქალაქი/სოფელი, გაიგეს, რა მიმართებაა სალიტერატურო ენასა და დიალექტებს შორის...)*.

**აქტივობა 6 – საშინაო დავალება:**

„იავნანამ რა ჰქმნა?!“ პირველი სამი თავი თხრობით, დასაწერად: გადმოეცი წერილობით II თავის შინაარსი.

**შედეგების კოდი**

1. მოსწავლეს აქვს ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის აუცილებელი უნარ-ჩვევები.
2. მოსწავლეს შეუძლია ლიტერატურული ტექსტების მოსმენა, გაგება და მათი შინაარსის გადმოცემა.
3. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ჟანრის მხატვრული ტექსტების წაკითხვა და ადეკვატურად გაგება-გაანალიზება.
4. მოსწავლეს აქვს კითხვის პროცესით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემის უნარი.
5. მოსწავლეს შეუძლია მცირე ზომის ტექსტის დამოუკიდებლად შექმნა და აზრის გასაგებად ჩამოყალიბება.

**გაკვეთილის მასალა:**  
**ლადო ასათიანი – „ქართული ენა“; ენის რაობა, ენის ფუნქციები**

**მიზნები**

- ტექსტის აგება სათაურის მიხედვით
- პოეტური ტექსტის აღქმა
- გამომეტყველებით კითხვაში ვარჯიში
- ლექსიკური მარაგის გამდიდრება
- ენის ფუნქციების გაცნობა
- ორთოგრაფიული და ორთოეპიული ჩვევების ფორმირება
- სიტყვის სემანტიკაზე დაკვირვება, სიტყვათა წარმოქმნა (ტერმინის გარეშე)

**აქტივობა 1 – კითხვისათვის მზადება:**

მასწავლებელი კლასს ყოფს წყვილებად და აძლევს დავალებას–გაიხსენონ, რა იცინა ქართული ენის შესახებ; რა ნაუკითხავთ ამ საკითხზე, რომელი ცნობილი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებებს გაიხსენებენ. თითოეული წყვილი წარმოადგენს თავის ვარიანტს. პასუხების პრეზენტაცია და ანალიზი ხდება კლასში.

**აქტივობა 2 – ტექსტის კითხვა და ანალიზი:**

მასწავლებელი კლასს გამომეტყველებით უკითხავს ლადო ასათიანის ლექსს „ქართული ენა“, აკითხებს 1-2 მოსწავლეს, შემდეგ აძლევს დავალებას: წაიკითხონ ლექსი ჩუმად, მოძებნონ და ახსნან გაუგებარი სიტყვები და გამოთქმები, გამოიყენონ ამ მიზნით „სიტყვის სალარო“; მონიშნონ ის უცნობი სიტყვებიც, რომლებიც წიგნში არ არის ახსნილი. ამ სიტყვებს შემდეგ ხსნის კლასის საერთო ძალისხმევით:

**ზენა** — ზეციური ძალა, ღმერთი

**უძველესი ტომი** – იგულისხმება საქართველო

**შლეგი** – გიჟი, გადარეული; **შლეგი ჩანჩქერები** — სწრაფი ჩანჩქერები; **ჩანჩქერი** – კლდეზე გადმომდინარე წყლის ნაკადი

**მყინვარი** — მოძრავი ყინულის მკვრივი მასა მთებში

**დაჯანლება** — ნისლად ქცევა; **ჯანლი** – ნისლი, ბურუსი

**ფარი** – საბრძოლო იარაღი

**სარკინეთი (სარკინე)** – ადგილია მცხეთაში (*ინფორმაცია მასწავლებლისათვის: სარკინე — დიდი მცხეთის უბანი, მცხეთის დასავლეთით მდებარე, ე. წ. ჯოჯოხეთის უბნიდან შიომღვიმის მისადგომებამდე – სავანეთის ქედსა და გრძელ მინდორზე. ძვ. ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, სარკინეთი დამოუკიდებელ ქალაქად არის მიჩნეული, თუმცა ეს მოსაზრება ზოგიერთი მეცნიერის გარკვეულ ეჭვს იწვევს. არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინეს, რომ ელინისტურ ხანაში აქ საკმაოდ განვითარებული ყოფილა ლითონის დამუშავების კულტურა, ოქრომჭედლობა. აღმოჩენილია მელითონეთა სახელოსნოები. სწორედ ამიტომაც ახსენებს პოეტი მომდევნო სტროფში გრდემლსა და უროს).*

**გრდემლი** – რკინის საყრდენი ლითონის გამოსაჭედად

**ურო** – დიდი ჩაქურჩი

**სთვლემენ** — სძინავთ;

**სასთუმალი** – ბალიში ან სხვა რამე თავქვემ დასადები

**ხმათა ხავერდები** — აქ: სასიამოვნო, ტკბილი ხმები (*ინფორმაცია მასწავლებლისთვის:*

„ხმათა ხავერდები“ რთული მეტაფორის ტიპური ნიმუშია. **მეტაფორა** – ბერძნულად ნიშნავს გადატანას).

**ინფორმაცია მასწავლებლისათვის:**

ლადო ასათიანი დაიბადა 1917 წლის 14 იანვარს ქუთაისში. მისი მშობლები პედაგოგები იყვნენ, ცაგერის რაიონის მკვიდრნი.

ლადო ასათიანმა 1934 წელს დაასრულა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და სწავლა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე გააგრძელა. სულ მოკლე ხანში კი ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე გადავიდა. სტუდენტობის პერიოდში ჩაბმული იყო სამეცნიერო წრეებისა და ლიტერატურული ორგანიზაციების მუშაობაში, იყო ქუთაისში გამომავალი გაზეთის „სტალინელის“ თანამშრომელი, სწორედ ამ გაზეთში დაიბეჭდა პირველად მისი ლექსები. 1936 წელს ლადო ასათიანი რამდენიმე თვით მშობლიურ სოფელ ბარდნალაში დაბრუნდა. ამ პერიოდში თარგმნა პუშკინის, მამინ-სიბირიაკის ნაწარმოებები.

ქუთაისში დაბრუნების შემდეგ ლადო კიდევ უფრო აქტიურად ჩაება ქალაქის ლიტერატურულ ცხოვრებაში. განსაკუთრებით იყო გატაცებული ფოლკლორისტული ძიებებით.

1937-1938 წლების რეპრესიები ლადო ასათიანის ოჯახსაც შეეხო: დედამისი – ლიდა ცქიტიშვილი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, დააპატიმრეს „ხალხის მტრის“ ბრალდებით.

რეპრესირებული ოჯახის შვილს მალე გამოუჩნდნენ მოშურნეები, მონინალმდეგეები, რომელთაც ბრძოლა გამოუცხადეს ახალგაზრდა პოეტს.

1937 წლის 16 ივლისს გაზეთ „სტალინელში“ გამოქვეყნდა პუბლიკაცია, რომელშიც რამდენიმე სხვადასხვა მწერალთან ერთად, მკაცრად იყო გაკრიტიკებული ლადო ასათიანი. „კრიტიკოსები“ პოეტს „პოლიტიკური შეცდომების“ გამოსწორებისაკენ მოუწოდებდნენ, ურჩევდნენ, თავი დაენებებინა „მავნე ლაყბობისათვის“. ასეთი გამოხდომები მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა ახალგაზრდა პოეტზე; მის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟით გამოწვეული გულისტკივილი კარგად ჩანს პოეტის ჩანაწერებში, პირად წერილებში, თანამედროვეთა მოგონებებში.

დედის დაპატიმრების შემდეგ ლადო ასათიანი ინსტიტუტიდან გარიცხეს. ოფიციალური მიზეზი ასეთი იყო: „კონტრრევოლუციური ლაყბობა“. ასეთი ბრალდება 1937-1938 წლებში, რეპრესიების დროს, განირვის ტოლფასი იყო და, ბუნებრივია, ამ ფაქტმაც ძლიერ იმოქმედა პოეტზე.

ამგვარი ბრალდებით „დალდასმული“ ლადო ამოდ დადიოდა დაწესებულებიდან დაწესებულებაში სამუშოს საძიებლად, მაგრამ მატერიალურ სიდუხჭირეში ჩავარდნილ „მტრის შვილს“ ხელს არავინ უმართავდა.

1938 წლიდან მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა, რეპრესიების ტალღამ თითქოს გადაიარა. 1938 წლის 29 მარტს კი საქალაქო კომიტეტის დადგენილებით ლადო ასათიანი ინსტიტუტში აღადგინეს.

1938 წლის ზაფხულიდან ლადო ასათიანი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად, თანამშრომლობდა ჟურნალ „ჩვენი თაობის“ რედაქციასთან. მისი ნაწარმოებები ქვეყნდებოდა „ახალგაზრდა კომუნისტში“, „მნათობში“, „ლიტერატურულ გაზეთში“, „პიონერში“ და სხვ.

1938-1939 წლებში პოეტი მუშაობდა გაზეთ „ნორჩი ლენინელში“, აქვეყნებდა ლექსებს, ნარკვევებს, ლიტერატურულ წერილებს. სტატიები მიუძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვანო სარაჯიშვილის, შიო მღვიმელის, უოლტერ სკოტის, ჟორჟ სანდის და სხვათა შემოქმედებას.



1939 წელს ლადო ასათიანი არმიის გავიწვიეს, მაგრამ ავადმყოფობის გამო თბილისში დააბრუნეს. იგი ტუბერკულოზით იყო დაავადებული, არაერთი თვე გაატარა აბასთუმანში, მაგრამ ვერ განიკურნა.

ლადო ასათიანი გარდაიცვალა 1943 წელს სრულიად ახალგაზრდა, 26 წლისა. იგი დიდუბის პანთეონშია დაკრძალული.

### აქტივობა 3 – წაკითხულის გააზრება:

გაანალიზდება, რას უძღვნის პოეტი ამ ლექსს (*ქართულ ენას*), ლექსის მიხედვით, ვინ და სად გააჩინა ქართული ენა (*„საქართველოს მთებში გააჩინა ზენამ“*), რას უწოდებს მწერალი ქართულ ენას? (*„ხმათა ხვერდების და ღმერთების ენას“*), ვინ იგულისხმა პოეტმა „უძველეს ტომში?“ (*ქართველები*), რატომ? (*ქართველ ხალხს დიდი ხნის ისტორია აქვს...*)

## II გაკვეთილი

### აქტივობა 1 – შესრულებული დავალების პრეზენტაცია:

– მოძებნეთ და წაკითხეთ ლექსიდან ის ადგილები, სადაც აღწერილია საქართველოს ბუნება: (*„შლეგი ჩანჩქერების ნაპრალებზე ხტომა“, „მყინვარების ღვთიურ ბრწყინვალეობით დნობა“, „გაფანტული ფარის მთაზე დაჯანლება“, „მწიფე პურის ყანა ქარში როგორ ღელავს“, „ვარსკვლავი ცაზე როგორ მოგ ზაურობს“...);*

– რასთან არის შედარებული ცხვირის ფარა? (*ნისლთან, ჯანლთან*);

– რა ნიშნით არის შედარებული? (*ორივე თეთრია, ორივე მთის კალთაზეა შეფენილი*).

– მოძებნეთ და წაკითხეთ ლექსში ის ადგილი, სადაც პოეტი საქართველოს ისტორიაზე, წარსულზე მიგვითითებს (*„უძველესმა ტომმა დღემდე მოიმღერა“, „ქართული ფარის ფარზე დაჯახება“, „სარკინეთში გრდემლზე როგორ სცემენ უროს“... „ციხე-კოშკის ჩრდილში... ღამისმთევლებს ღზინი გაუმართავთ...“*).

– რა სიტყვებით მოიხსენიებს პოეტი ქართულ ენას? (*„სიყვარულის ლექსის, სადღეგრძელოს ენა“, „ხმათა ხვერდების და ღმერთების ენა“...)*

### აქტივობა 2 – წაკითხულის გააზრება და შეფასება:

– პოეტის რა განწყობა ჩანს ლექსში? (*აღმაფრენისა და სიამაყის*).

– რა უქმნის პოეტს ასეთ განწყობას? (*ქვეყნის წარსული, სამშობლოს სიყვარული*).

– რატომ უწოდებს პოეტი ქართულ ენას „ხმათა ხვერდებისა და ღმერთების ენას?“

(*მას ძალიან უყვარს და მოსწონს თავისი მშობლიური ენა*).

– რომელი ენაა პოეტის მშობლიური ენა? (*ქართული ენა*).

– მშობლიური ენის აღსანიშნავად ქართველები რომელ სიტყვას იყენებენ კიდევ? (*დედაენას*).

– როგორ ფიქრობთ, რატომ უწოდებენ ქართველები მშობლიურ ენას „დედაენას?“ გაიხსენეთ სხვა სიტყვებიც, რომლებიც ასევე „დედასთან“ არიან დაკავშირებული (*დედასამშობლო, დედაქალაქი, დედამიწა...*).

– რისთვის არის ენა საჭირო? (*საუბრისათვის, ერთმანეთთან ურთიერთობის დასამყარებლად, საკუთარი აზრის გამოსახატავად...*).

ექლავა დასკვნა-ენა ადამიანთა აზრის გამომხატვისა და ურთიერთობის საშუალებაა. ქართველთა დედაენა, მშობლიური ენა ქართულია. ეს ლექსიც სწორედ დედაენას ეძღვნება.

### **ინფორმაცია მასწავლებლისათვის:**

მეცნიერები ძირითადად ენის ორ ფუნქციას – **აზრის გამოხატვისა და საკომუნიკაციოს** – გამოყოფენ. თუმცა ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი აღიარებს ენის მესამე ფუნქციასაც – **საშემეცნებოს**. ამ შეხედულების წარმომადგენლები თვლიან, რომ ყოველ ენაში მოცემულია სამყაროს აღქმისა და შემეცნების გარკვეული მოდელი, რომელიც თითოეულ ენაში თავისებურია და არ ემთხვევა არც ერთ სხვა მოდელს (ენა მსოფლხატია). ენები ერთმანეთისგან განსხვავდება არა მხოლოდ იმით, რომ სხვადასხვა ბგერადობის სიტყვებით აღნიშნავენ ერთსა და იმავე ცნებას, არამედ იმითაც, რომ ამ ენაზე მოლაპარაკეთათვის თვით ეს ცნებებია განსხვავებული და სხვადასხვა მიმართება აქვთ მომიჯნავე ცნებებთან. საილუსტრაციოდ კმარა „დედაენაც“, რომელიც „მშობლიური ენის“ (პირველი ენის, საბავისო ენის) აღსანიშნავად მოეპოვება ქართულს.

### **აქტივობა 3 – ენობრივ მასალაზე დაკვირვება:**

#### **ა) ომონიმებზე დაკვირვება:**

– ტექსტში ორი ისეთი სიტყვაა, რომლებიც გარეგნულად ჰგავს ერთმანეთს, მნიშვნელობა კი განსხვავებული აქვს. რომელია ეს სიტყვები? (**„გაფანტული ფარის მთაზე დაჯანღება“**, **„ქართული ფარის ფარზე დაჯახება“**; – **პირველ შემთხვევაში საუბარია ცხვრის ფარაზე, მეორე შემთხვევაში — საბრძოლო იარაღზე**). ხომ არ გაიხსენებდით სხვა ასეთ სიტყვებსაც? (**ბარი — სამეურნეო იარაღი, ბარი — დაბლობი ადგილი...**).

#### **ბ) სახელთა წარმოქმნაზე დაკვირვება:**

– რას აღნიშნავს **ჯაგი**? (**ეკლიან ბუჩქს**). **ჯაგნარი**? (**ადგილს, რომელიც ჯაგებით არის დაფარული**).

– მიიღეთ ახალი სიტყვები: **ბუჩქი — (ბუჩქნარი), ნაძვი (ნაძვნარი), ფიჭვი (ფიჭვნარი), ყვავილი (ყვავილნარი)**. რა განსხვავებაა ამ სიტყვებს შორის? (**პირველი აღნიშნავს მცენარეს, მეორე კი ადგილს, სადაც ეს მცენარეები მრავლად ხარობს**).

#### **გ) სიტყვათა მართლწერაზე დაკვირვება:**

– მოძებნეთ ტექსტში რთული სიტყვები და დააკვირდით, როგორ იწერება ისინი (**ციხე-კოშკი — იწერება დეფისით, ღამისმთეველი – იწერება ერთად**). შეადგინეთ და დაფაზე დაწერეთ წინადადებები ამ სიტყვების გამოყენებით.

– მოძებნეთ ტექსტში არსებითი სახელი, რომელც **ორი მ**-თი იწერება (ტომმა). რატომ იწერება აქ **ორი მ**? (**ერთი ფუძისეულია, მეორე — მოთხრ. ბრ-ის ნიშანი**). სხვა ასეთ მაგალითებსაც ხომ არ გაიხსენებთ?

### **აქტივობა 4 – შეჯამება:**

მოსწავლეები აჯამებენ, რა ისწავლეს ამ გაკვეთილზე ახალი (**შეისწავლეს ლადო ასათიანის ლექსი „ქართული ენა“, დაეუფლნენ გამომეტყველებითი კითხვის ჩვენას, ააგეს ტექსტები მოცემულ თემაზე, გაეცნენ მშობლიური ენის რაობას, შეასრულეს სავარჯიშოები...**), შეიძლება შეივსოს სქემა:

რა ვიცოდი ქართული ენის შესახებ	რა გავიგე	რისი გაგება მაინტერესებს

**აქტივობა 5 – საშინაო დავალება (2 წთ.):**

საშინაო დავალებად ეძლევათ ლადო ასათიანის ლექსი „ქართული ენა“; ასევე, მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ ქართველი პოეტების ლექსები, რომლებიც ქართულ ენას ეძღვნება.

**შედეგების კოდი:**

1. მოსწავლეს შეუძლია ლიტერატურული ტექსტების მოსმენა, გაგება;
2. მოსწავლეს შეუძლია ძირითადი ენობრივ-გრამატიკული საშუალებების სათანადოდ გამოყენება;
3. მოსწავლეს შეუძლია მხატვრული ტექსტის (ლექსი) წაკითხვა და ადეკვატურად გაგება-გაანალიზება;
4. მოსწავლეს აქვს კითხვის პროცესით გამოწვეული განწყობილებისა და შთაბეჭდილების გადმოცემის უნარი.

მასწავლებელს ვთავაზობთ **დამატებით ინფორმაციას** ლადო ასათიანის ლექსის „კრწანისის ყაყაჩოები“ დაგეგმვისათვის.

**დამატებითი ინფორმაცია მასწავლებლებისათვის:**

**ა) სამასი არაგველი** – კრწანისის ბრძოლისა და თბილისის აღების შემდეგ, 1795 წ., ირანელთა ერთი ნაწილი ქალბ-ალი-ხანის მეთაურობით არაგვის ხეობას აუყვავა. მათ მეფე ერეკლეს შეპყრობა და საარაგვის დაპყრობა ჰქონდათ დავალებული. ჟინვალში მთიდან წამოსული სამასამდე თუმ-ფშავ-ხევსური მოგროვდა. მათ გვიან გაეგოთ საყვარელი მეფისა და სამშობლოს გასაჭირი და „მგმლურით“ მოეშურებოდნენ სამხრეთისაკენ. აქ ისინი 4000-იან ირანულ ჯარს შეებნენ და გაანადგურეს დამპყრობლები. გამარჯვებულებმა არაგველებმა სასიხარულო ამბავთან ერთად საყვარელ მეფეს ირანელი ტყვეებიც მიჰგვარეს (ლ.სანიკიძე, თხზ. ტ. 1, 1991 წ.).

**ბ) „პატარა კახი“** – მეფე ერეკლე – 1720-1798 წ.წ. დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოველში. იგი აკავშირებდა ქართლსა და კახეთის ბაგრატიონთა ორ შტოს. ნადირ-შაჰის

გარდაცვალების შემდეგ ერეკლემ და მისმა მამამ – თეიმურაზ II-მ 1747 წელს თბილისი ირანელებისაგან გაათავისუფლეს. გააერთიანეს ქართლსა და კახეთის სამეფოები. შეიქმნა მორიგე ჯარი. ერეკლემ შეზღუდა თვითნება თავადები, სასტიკად აკრძალა ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა, განახლდა ზარაფხანა, გაჩნდა პირველი ქართული ფაბრიკა-ქარხნები, დაარსდა სემინარები, გახშირდა წიგნების ბეჭდვა, 1783 წ. გააფორმა რუსეთთან სამეგობრო ხელშეკრულება („გეორგიევსკის ტრაქტატი“). მალე გამწვავდა ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარება. ყველაფერი ეს გადაულახავ სიძნელედ გადაეღობა ქვეყნის განახლება-აღორძინებას. ამას ზედ დაერთო ირანელთა შემოსევა და თბილისის აოხრება 1795 წ., ასევე – რუსეთის მიერ სამოკავშირეო ვალდებულებების შეუსრულებლობა და ლალატი, რასაც მალე რუსეთის მხრიდან ქართლ-კახეთის სამეფოს ანექსია მოჰყვა.

**გ) „ოჟა ჯურხაი“** ქართული ხალხური პოეზიის გმირია, მას ეძღვნება ცნობილი ოთხსტრიქონიანი ლექსი:

*„ბეთლემის კარზე ჰკიდია  
ვოჟა ჯურხაის ფარიო,  
მოუვლის ომის ნადილი,  
ხანდახან შესძრავს ქარიო“*

ამ გმირის ცხოვრებისა და მოქმედების დრო არ ვიცით. მხოლოდ ხალხი გვამცნობს, რომ მისი ფარი იფარავდა ჩვენს ქვეყანას. ბეთლემის კარზე შეკიდული გმირის ფარი ხალხმა წარმოადგინა არა მხოლოდ ქვეყნის თავისუფლების ემბლემად, არამედ – მისი განსაცდელის მაცნედაც. (ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, 1968). ლ.ასათიანის ამ ლექსში ოჟა ჯურხაის ფარს სწორედ ეს სიმბოლური დატვირთვა აქვს.

